

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

სპეციალობა - საჯარო მმართველობა

გოჩა ივანაძე

საჯარო სამსახური და საზოგადოება

**საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი ნაშრომი**

**თემის ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე მასობრივი კომუნიკაციის
აკადემიური დოქტორი**

ხიჭაური - 2019

ანოტაცია

თანამედროვეობამ სხვადასხვა აქტუალური თემა და მისი გადაჭრის გზები შემოგვთავაზა. დღევანდელ კონკურენტუნარინ გარემოში ერთ-ერთი მათგანი გახლავთ საჯარო სამსახურებისა და აუდიტორიის ურთიერთკავშირი. ამ აუდიტორიას კი საზოგადოება ქმნის, რომელსაც ეპოქის შესაბამისი მოთხოვნა-მოთხოვნილებები თუ სტანდარტული ხედვები გააჩნია. საზოგადოება კი ის ფენომენია, რომელიც არათუ გაპატიებს და ცხადია, არც მარტივად დაგნამებს ცილს. ამ ორი მიმართულების არსში კი, ცხადია განუზომლად დიდია სახელმწიფოს როლი, ბერკეტები თუ პრიორიტეტები. სწორედ ზემოთ თქმულმა გაგვიჩინა სურვილი დაგვეჩვენა სამაგისტრო ნაშრომი „საჯარო სამსახური და საზოგადოება“, რაც ისევ და ისევ თანამედროვე ეპოქალურმა რეალობამ განაპირობა.

სამაგისტრო ნაშრომი უშუალოდ ეხება ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა საჯარო სამსახურის და საზოგადოების ურთიერთობა, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელობა. ამ პრობლემური საკითხების გადამწყვეტა დღეს ძალზედ ეფექტურია. სწორედ ამიტომ, სავალდებულოა ვიცოდეთ როგორ ყალიბდება თანამედროვე სამსახური და როგორ აყალიბებენ ისინი ურთიერთობას საზოგადოებასთან. თემაში ძირითადად განხილულია ის პრობლემები, რაც აწუხებს საზოგადოებას საჯარო სამსახურის მიმართ. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილეთ ცვლილებებზე, რომელიც საჯარო სამსახურმა განიცადა. ნაშრომში ასევე განხილულია 2003-2015 წლებში გატარებული რამდენიმე რეფორმა, რაც ეტაპობივად განახორციელა ორმა ახალმა ხელისუფლებამ მათ მნიშვნელოვნად შეცვალეს საჯარო სამსახური, მაგრამ ჰქონდათ და აქვთ როგორც დადებითი, ასევე ურაცოფითი შედეგები. წინამდებარე ნაშრომს თან ერთვის ჩვენ მიერ ჩატარებული სოციალური კვლევა, რამაც მოგვცა საშუალება, რომ ამ მიმართულებით დაგვეჩვენა ზოგიერთი პრობლემური ასპექტი და გვეფიქრა მისივე გადაჭრის გზებზეც.

Annotation

Modernity has been offered different actual topic and its solutions way. Nowadays competitive in environment one of them there is a relationship between public service and audiences. The society create this audiences, which has got demand and requests of this relevant epoch – it has standard visions. The society is a phenomenon that it does not forgive anything, it is clear, even not simple blame to slander. The essay of in these two directions, it is clear there is a great in the role of state, the leverage or priorities. That's above mentioned we had a desire to write master`s thesis "Public Service and Society", which is again and again the reality was condition of the modern epoch. Master`s work directly related to the topic, as public service and society relations, on the public service is the important legislation of Georgia.

Today, the solution of these problematic issues is very effectivity. That`s why, it`s necessary to know how create modern service is established and how they create their relationship with society. In the topic is discussed main problems, that is worried to society about public service. It is important, we take care of changes that the public service has suffered. In 2003-2015, in the work, it is also discussed and implemented some of the reforms, what step by step are carried out of two new government and they important changed public service, but they had negative-positive sides and also, they have got positive positive-negative consequences. The present work is attached to our social research, which afford us to see some problematic aspects in this direction and we think about the way of solving it.

სარჩევი

<u>შესავალი</u>	9
<u>თავი I</u>	13
<u>საჯარო სამსახური</u>	13
<u>1.1 რა არის საჯარო სამსახური</u>	13
<u>1.2 ტერმინთა განმარტება კონსტიტუციის საფუძველზე</u>	14
<u>1.3 საჯარო სამსახური, როგორც სოციალური ინსტიტუტი</u>	17
<u>თავი II: საზოგადოება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები</u>	23
<u>2.1 საზოგადოების ცნება (განმარტება) სამოქალაქო საზოგადოება</u>	23
<u>2.2 საჯარო სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური</u>	26
<u>2.3 საჯარო სამსახურისა და საზოგადოების ურთიერთობა</u>	30
<u>2.4 საჯარო უწყება და მედია</u>	35
<u>2.5 ურთიერთობების ჩამოყალიბებაშსაჯარო მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კონცეპტუალური საკუთხები</u>	41
<u>თავის.III საზოგადოებრივი აქტივობა</u>	45
<u>3.1 საზოგადოებრივი მოთხოვნის განპირობებული ფაქტორი</u>	45
<u>3.2 მოთხოვნა მიწოდების პრინციპი</u>	46
<u>3.3 სიძულვილის ენა საჯარო სამსახურებში და საზოგადოებრივი პროტესტი</u>	47
<u>თავი IV</u>	49
<u>სოციალური კვლევა</u>	49
<u>დასკვნა</u>	72

შესავალი

საჯარო სამსახურები და საზოგადოებრივი ასპექტები თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ძლიერი საზოგადოება ქმნის ძლიერ და სისტემურ საჯარო სამსახურებს და პირიქით. სამაგისტრო ნაშრომი ამ მიმართულებით რიგი მოვლენების მიმოხილვას ემსახურება. თემის პრინციპიც თანამედროვე კონკურენტუნარიან რეალობაში გადაჭრის გზების ძიებაა.

თანამედროვე სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე. ხელისუფლების თითოეულ შტოს აქვს თავისი ფუნქცია. კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება არის სახელმწიფოს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა, თუმცა მოქალაქის და სახელმწიფოს ყოველდღიური ურთიერთობა ვლინდება სახელმწიფოს ისეთი ფუნქციის განხორციელებაში, როგორცაა საჯარო მმართველობა. სახელმწიფო ქმნის თითოეული მოქალაქის არსებობისათვის აუცილებელ გარემოს. თანამედროვე სამყაროში იზრდება მოქალაქის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, რაც იწვევს სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციების ზრდას.

საჯარო მმართველობა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს, როგორცაა მართლწესრიგის დაცვა, სოციალური სფერო, განათლება, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო მმართველობა გავლენას ახდენს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მოქალაქის შეხედულება და განწყობა სახელმწიფოსადმი, პირველ რიგში, იქმნება საჯარო მმართველობის მიმართ მის დადებით თუ უარყოფით წარმოდგენებში. საჯარო მმართველობის, როგორც სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია

მისი უწყვეტობა. სახელმწიფოს სხვა ფუნქციებისგან განსხვავებით, ის ხორციელდება უწყვეტად დღე-ღამის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ამინდია, ან რა მდგომარეობაა ქვეყანაში – მშვიდობაა თუ საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.

საჯარო მმართველობა, როგორც ფუნქცია, არ ჩერდება. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ფუნქციონირების მთავარი ტვირთი საჯარო მმართველობაზე მოდის და მოქალაქეების კმაყოფილების ხარისხი ამ ფუნქციის განხორციელების ხარისხზე არის დამოკიდებული, უმნიშვნელოვანესია. სავალდებულოა ამ მიმართულების განმახორციელებელი პირების ცალკე გამოყოფა და მათი სტატუსის დამოუკიდებლად განსაზღვრა.

თუ რა არის საჯარო მმართველობა, როგორც ფუნქცია – ამის სრულყოფილი პოზიტიური განმარტება შეუძლებელია. ყველაზე ფართოდ გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ის არის აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა. საჯარო მმართველობა არის კანონების აღსრულების პროცესი, თუმცა არამარტო... ამდენად, ეს დეფინიცია არ მიიჩნევა სრულყოფილ განმარტებად. საჯარო მმართველობის ნეგატიური განმარტება უფრო სრულყოფილად გადმოსცემს საჯარო მმართველობის არსს, რომლის თანახმადაც, საჯარო მმართველობა, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, არის სახელმწიფოს საქმიანობა, რომელიც არ არის კანონმემოქმედება და მართლმსაჯულება.

საჯარო სამსახურის რეფორმა არის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის და ეფექტური მმართველობის განხორციელების მნიშვნელოვანი ელემენტი. რეფორმის მიზანია ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც მერიტოკრატულ პრინციპზე იქნება დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას. საჯარო სამსახურის რეფორმა გრძელვადიან პერსპექტივაში გულისხმობს სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას, სადაც არ იარსებებს მიკერძოებულობა, არაეთიკური ქცევა და კორუფცია. გამართული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბება არის სახელმწიფოსადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლების საფუძველი. რწმენა სამართლიანი და

მიუკერძოებელი საჯარო სამსახურისადმი განაპირობებს ხელისუფლების განხორციელებაში საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას, რაც საბოლოო ჯამში სამართლიანი და მიუკერძოებელი პოლიტიკის ფორმირებას უზრუნველყოფს.

საჯარო სამსახურის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია საჯარო სამსახურში მომუშავე პიროვნებამ თავისი ფუნქციები განახორციელოს როგორც მას კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ავალდებულებს.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავთ რეფორმის კვალდაკვალ გატარებულ რამდენიმე კანონს; ანუ რას გვაძლევს ესა თუ ეს კანონი და რა უფლებები აქვს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირს. რა თქმა უნდა, ამავდროულად ცალსახად მნიშვნელოვანია ერთგვარი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოებისადმი.

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე მსოფლიო რეალობაში მწვავედ დგას საჯარო სამსახურისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი და აღნიშნულ პრობლემატიკას ვაწყდებით ქართულ სინამდვილეშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს წინაშე ბევრი გადასაჭრელი პრობლემა დგას. სწორედაც ერთ-ერთი განეკუთვნება საჯარო სამსახურის სისტემას და ურთიერთობას საზოგადოებასთან. ეს კი ის საკითხია, რომელიც ხელისუფლების მხრიდან ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს იმიტომ, რომ ჩვენი დაკვირვებით, საქართველოში არსებული საჯარო სამსახურის სისტემა არის დასახვეწი და საჭიროებს მეტ ყურადღებას. ამ სისტემის ეფექტური ფუნქციონირება კი ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. სახელმწიფომ კი უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება კანონის ფარგლებში გადაჭრან არსებული პრობლემა. სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ის ნაკლოვანებებიც, რაც პრობლემატურია დღეს როგორც საჯარო მოხელეებისთვის, ისე რიგითი მოქალაქისთვის. ამასთანავე წარმოდგენილია ის პრობლემები და ასევე პრობლემების მოგვარების მექანიზმები, რაც საჯარო სამსახურს სრულყოფილს გახდის. ამავდროულად, სამაგისტრო ნაშრომში დასაბუთებულია

პრობლემების მოგვარების სხვადასხვა ხერხი, რაც უნდა გაითვალისწინოს საჯარო მოხელემ შესაბამისი კანონის გააზრება-გაანალიზებით.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სამსახურისა და საზოგადოების ურთიერთობის განხილვა, ზოგიერთი ასპექტის შეფასება, ასევე საჯარო სამსახურის კანონში ჩვენი თვალით დანახული და არსებული ხარვეზების განხილვა, იმ „მკვდარი ნორმების“ კრიტიკა-ანალიზი, რომლებსაც დღეს არც თუ ისე ხშირად ვაწყდებით. ჩვენი მიზანია პრობლემის გადაჭრის მცდელობა და ეფექტური მუშაობის ასახვა, რაც მეტწილად შესაბამის კვლევაზე დაყრდნობით შევძელით კიდევ.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს თვით საჯარო სამსახურები და საზოგადოება, მათი კომუნიკაციური ასპექტები თუ ელემენტები.

კვლევის მეთოდები - სოციალური კვლევა, რამაც რეგიონის რეალობაში მნიშვნელოვანი შედეგი ცხადყო.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 72 გვერდს, რომელიც შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან. საკუთრივ თავები დაყოფილია ქვეთავებად, რაც ნაშრომს მეტ პრაქტიკულ ღირებულებას სძენს. თემას თან ერთვის დანართი და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველი თავი შედგება სამი ქვეთავისგან. აქ განმარტებულია კანონი და მისი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის, საჯარო მოხელისთვის, ანუ რამდენად სწორად უნდა გამოიყენონ არსებული კანონი. აქვე განხილული გქვამის ტერმინები, რომლებიც ხშირად გვხდება საჯარო უწყებებში. **მეორე თავში** მოცემულია საზოგადოების ცნება, მისი განმარტება და მნიშვნელობა ანუ რა როლს ასრულებს იგი სახელმწიფოს განვითარებაში, ასევე გამოვკვეთეთ მედიის როლი და მისი ზეგავლენა, ის პრობლემები, რაც დგება საჯარო უწყებებსა და ზოგადად, საზოგადოებას შორის ამავდროულად ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე და გადაჭრის გზებზე რასაც საზოგადოების ურთიერთობის სამსახურები აწყდებოდათ. **მესამე თავი** კი მოიცავს საზოგადოებრივ აქტივობებს, რაც უნდა განახორციელონ კანონის შესაბამისად. აქვე გვაქვს ნახსენები საზოგადოების მოთხოვნის განპირობებული ფაქტორები და ასევე

მოთხოვნა მიწოდების პრინციპი, ამავდროულად საჯარო უწყებაში მნიშვნელოვან ყურადღება უნდა მივაქციოთ ეთიკის ნორმებს და ამიტომ ამ თავში ვსაუბრობთ სიძულვილის ენაზე, რომელსაც იყენებს საჯარო მოხელე და საზოგადოება.

თანამედროვე საჯარო სამსახურის არსებობა წარმოუდგენელია საზოგადოების გარეშე, რადგან საზოგადოებამ ყოველთვის უნდა იგრძნოს საჯარო უწყების მხრიდან თანადგომა, რამეთუ ამ უკანასკნელს საზოგადოების თანადგომა ყველაზე მეტად სჭირდება.

თავი I

საჯარო სამსახური

1.1 რა არის საჯარო სამსახური

საჯარო სამსახურად ითვლება სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამსახური, რომელიც დაკავშირებულია მმართველობითი (ადმინისტრაციული) ფუნქციების განხორციელებასთან. მმართველობითი ფუნქციები გვხვდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებში, ასევე თვითმმართველობის დონეზე და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

განახლებული საჯარო სამსახურის მოწყობის მოდელი ემყარება საჯარო სამსახურის ე.წ. „კლასიკურ“ გაგებას: საჯარო მოხელე არის საჯარო მმართველობის განმახორციელებელი პირი, რომელიც ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრისათვის აუცილებელია მათგან გავმიჯნოთ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობების

პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირები და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები - მოსამართლეები, რომლებიც არ ახორციელებენ საჯარო მმართველობას.

1.2 ტერმინთა განმარტება კონსტიტუციის საფუძველზე

საჯარო სამსახური ხშირ შემთხვევაში განათლებული ადამიანისათვის დასაქმების ერთადერთ საოცნებო არეალად სახელდება. რამდენად საოცნებოა, ამას ცხოვრება ცხადყოფს, რომელიც ავტომატურად მიზნების, მიზებების და შედეგებისგან შედგება. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, უპრიანად მიგვაჩნია მოვიტანოთ ტერმინთა პირდაპირი განმარტება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პირი, რომელიც საჯარო სამსახურშია დასაქმებული, უნდა ემორჩილებოდეს და ხელმძღვანელობდეს საქართველოს კანონმდებლობით. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საჯარო სამსახურს აქვს ტერმინები, რომლითაც განისაზღვრება სხვადასხვა სახელწოდებებით და თითოეულ ტერმინის განმარტებას საჯარო სამსახურში აქვს სხვადასხვა დანიშნულება. „კანონი საჯარო მოხელის შესახებ“ არის ის, რითაც ჩვენ ამ შემთხვევაში ვსარგებლობთ: (4-კანონი საჯ.სამსახურის შესახებ-მუხლი 3)

ა) **„სახელმწიფო სამსახური** – საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დანესებულებებში) არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას;

ბ) **„სახელმწიფო მოსამსახურე** – პირი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა უკავია და რომლის სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის ან/და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე; ამ პირის მოადგილე“;

გ) „საჯარო სამსახური – სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა), მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა). საჯარო სამსახურად ითვლება აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების აპარატებში, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების აპარატებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქმიანობა“; **ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან**)

დ) „საჯარო მოსამსახურე – პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი“;

ე) „პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე (შემდგომ – მოხელე) – პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს“;

ვ) „**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი** – პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება“;

ზ) „**ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი** – პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების განვითარებით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის გათვალისწინებული თანამდებობები“;

თ) „**სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი** – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები“;

ი) „**პოლიტიკური თანამდებობის პირი** – სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე“;

კ) „**საჯარო დაწესებულება** – სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში

ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები“;

ლ) „**თანამდებობა** – კარიერული საფეხური, რომელიც ფუნქციონირებს ერთობლიობა და განსაზღვრავს მის ადგილსა და როლს საჯარო სამსახურის სისტემაში“;

მ) „**მოხელის შეფასება** – მოხელის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებების და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების განსაზღვრისათვის საჯარო დაწესებულების მიერ ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელის ან/და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება“.

1.3 საჯარო სამსახური, როგორც სოციალური ინსტიტუტი

ზემოთ ჩამოვაცალიბეთ საჯარო სამსახურის ფუნქციური არსი, კონსტიტუციურად განვმარტეთ რიგი ტერმინები, რაც პირდაპირ, საჯაროდ გვაცნობს სამსახურში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებს. ეს ცნებებია: სახელმწიფო სამსახური, საჯარო მოსამსახურე, საჯარო სამსახური, საჯარო მოხელე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი და ა.შ. ტერმინთა ერთობლიობა ქმნის ცხადია საჯარო სისტემას. სისტემა სოციალური პირებისგან შედგება, რაც ქმნის სოციუმს და ზოგჯერ სოციალურ ინსტიტუტადაც გვევლინება, რასაც აქვს შესაბამისი მიზნ-შედეგობრივი ახსნა.

სოციალური ინსტიტუტი – სოციალური ნორმებისა და კავშირების ორგანიზებული სისტემაა, რომელიც აერთიანებს ღირებულ საზოგადოებრივ ფასეულობებსა და პროცედურებს. შესაბამისად, იგი აკმაყოფილებს საზოგადოების ძირითად მოთხოვნილებებს - ქცევის წესებს, რომლებიც დადგენილია საზოგადოების მიერ. ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა: ვის მიერ დაშვებული და ვის მიერ ლეგიტიმირებული? ამ კითხვაზე ჩვენ შევეცდებით გავცეთ პასუხი. სოციალური ინსტიტუტი მუშაობს როგორც „საზოგადოების“ ნაწილი და საფუძველი, მაშინ, როდესაც მისი წევრები მიზნად ისახავენ როგორც ლეგიტიმურ მისაღწევ მიზნებს, ასევე,

ლეგიტიმური მიზნების მისაღწევ ლეგიტიმურ საშუალებებს. თუკი რომელიმე ეს ნაწილი არ სრულდება, მაშინ საქმე გვაქვს გადახრასთან ანუ დევიანტურ ქცევასთან, თუმცა რამდენად არის დევიანტური ქცევა ინსტიტუტის დამშლელი და არა პირიქით, შემაკავებელი და გამამყარებელი, საკამათოა.

იგივე შეიძლება ითქვას დევიანტური ქცევის შესახებ, რაც ზემოთ აღვნიშნე ლეგიტიმურ ქცევასთან მიმართებაში; ანუ, ვისი თვალსაზრისით არის ქცევა დევიანტური და ვინ ადგენს დევიანტის დევიანტობას? თეორიები ინსტიტუტსა და სხვა სოციალურ დაჯგუფებებს შორის განსხვავების შესახებ სხვადასხვაა. მათ შორის პოლარულებად შეიძლება შემდეგი თვალსაზრისები მიიჩნიოთ:

1. ინსტიტუტი წინასწარ მოცემული სტრუქტურაა, ხოლო კონკრეტული დაჯგუფება, ორგანიზაცია, ასოციაცია - მისი განხორციელება, სტრუქტურის კონკრეტული ფორმა (მალინივსკი, გელენი, დურკჰაიმი, დუგლასი);
2. ასოციაციაში არსებული წესები და ღირებულებები წარმოადგენენ ინსტიტუტებს, ანუ, ინსტიტუტი არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზაციაში (ანუ, ასოციაციები, ორგანიზაციები, საზოგადოებები ქმნიან თავის თავში ინსტიტუტებს როგორც მოქმედების წესებს/ნორმებს) (მაკივერი, პეიჯი);
3. ინსტიტუტი ეს არის კონკრეტული ჯგუფების და ორგანიზაციების წევრების ქცევებისაგან აბსტრაქცია (კონცეპტუალური კონკრეტიზაცია), ან უბრალოდ, ადამიანთა ქცევებისა, ასე რომ, ის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერების კონსტრუქტია.

სამივე ამ თვალსაზრისის ფესვები თვით სოციალური ინსტიტუტების ბუნებაშია. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ამას ცხადს გახდის: ვნახავთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილი სამი განსაზღვრება სოციალური ინსტიტუტების კონკრეტულ ფორმებს:

მაგალითად, როდესაც მოხელე სამსახურში მიიღება შესაბამის წესით დაცვით და კანონით, მას აქვს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც უნდა იყოს დაცული

ყველანაირად, არ უნდა დაირღვეს საჯარო მოხელის უფლებები და ასევე საჯარო მოხელემ არ უნდა გადაამეტოს თავის უფლებებს, რაც კანონით მკაცრად არის განსაზღვრული - მოხელეს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები. საჯარო დანესებულება ვალდებულია შემქნას შესაბამისი სამუშაო გარემო მოხელის ამ (მუხლის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ პირველი პუნქტით) გათვალისწინებული პირობებითა და საშუალებებით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უზრუნველყოს მოხელეების მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. თუკი სოციალური ინსტიტუტის მოდელად ავირჩევთ საჯარო სამსახურს, ანდა, როგორც მას ხშირად უწოდებენ - ძალაუფლებას-თანამდებობებში, მაშინ მივიღებთ, რომ საჯარო სამსახური, როგორც ინსტიტუტი, მათთვის, ვინც მასში მთავარ როლს ასრულებს, კონკრეტული დიდი ორგანიზაციაა, რომელიც თავის შიგნით აგებს (კონსტრუირებას უწევს) სხვადასხვა ლეგიტიმურ ინსტიტუტებს - საჯარო სამსახურის დანესებულებებს, არმიას, პოლიციას, ზოგადად ძალაუფლებას, როგორც კონკრეტული სახელმწიფოსათვის შესაბამის კონკრეტულ ინსტიტუტს. ეს ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტში მთავარი მოქმედი პირებისათვის არ არსებობს ძალაუფლება საჯარო სამსახურის, სოციალური ინსტიტუტი(ები) ზოგადად, ის ყოველთვის არის კონკრეტულ დიდ ორგანიზაციაში, სახელმწიფოში შექმნილი ამ სახელმწიფოს კონკრეტული მოქმედებ(ებ)ისათვის. ანუ, როგორც ამ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი და წარმმართველი ლეგიტიმირებული ნორმატიული და არანორმატიული წესების ერთობლიობა. ამ შემთხვევაში, ინსტიტუტი არის ორგანიზაციის არსებობის წესი, ანუ, ორგანიზაცია, როგორც პროცესი, სოციალური ინსტიტუტია.

ამავე დროს, სახელმწიფო მათთვის, ვინც მასში არ წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, მაგალითად, ვინც მხოლოდ მიერთებულია მისი ინსტიტუტების მუშაობას, და ეს ინსტიტუტები მასზე მხოლოდ ზემოქმედებენ, წინასწარარსებული, ტრადიციული ფენომენია, რომლის კონკრეტული ფორმებია კონკრეტული ინსტიტუტები და

მოქმედებები. ხოლო დამკვირვებლისათვის სახელმწიფო არის აბსტრქცია იმ მოქმედებებიდან, რომელიც სახელმწიფოში ხორციელდება. სწორედაც, როდესაც საზოგადოება ხედავს ამ ყოველივეს უგულებელყოფას, ისინი ხშირად ხდებიან კრიტიკის ქარცეცხლში. საჯარო სამსახურის ნებისმიერმა დაწესებულებამ, ნებისმიერმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების უმრავლესობის აზრი, რადგან საზოგადოება ადრე თუ გვიან მიიღებს იმ მოთხოვნებს, რაც მათთვის სასაიკეთო იქნება. ზემოთ გამოვიყენეთ ტერმინი დევიანტური ქცევა, რომელიც ჩვენ გვესმის როგორც არანოლმარული, არაორდინალური ქცევა, რომელიც საზოგადოების უმრავლესობის უკმაყოფილების მიზეზი ხდება. შესაბამისად, ისმის კითხვა: რას აკეთებს ასეთ დროს სახელმწიფო? რომელი საზოგადოების მომხრე ხდება? ამის ნათელი მაგალითია დღეს არსებული ვითარება საქართველოში. როგორც ვხედავთ, ბოლო პერიოდში გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ საქართველოში დაამყარონ ევროპული ტრადიციები და საქართველოს სახელმწი გადაიყვანონ ევროპულ ღირებულებებზე. ისინი ცდილობენ ყოველგვარი ხერხით დაგვიკარგონ ის ღირებულებები, წესები და ტრადიციები, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს. ცდილობენ დაიკვან მათი უფლებები, ვისაც ქართველი ერის უკუღმა შემოტრიალება სურთ, მაგრამ სასიხარულოა და საამაყო, რომ ამ ყოველივეს ეწინააღმდეგება საზოგადოების დიდი ნაწილი და ამ ყველაფრის მიუხედავად, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნის აღიარებას, დაკმაყოფილებას. რა უნდა ქართველ საზოგადოებას? მათ უნდათ, რომ იყოს ის ღირებულებები დაცული, რამაც ქართველი ერი დღემდე მოიყვანა, მათ არ უნდათ იცხოვრონ ისეთ ქვეყანაში, სადაც ნარკოტიკის მოხმარება ნებადართულია, მათ არ უნდა სხვადასხვა სექსუალურმა უმცირესობამ გარყვნას ახალგაზრდა თაობა, არა სოლომიზმსა და მამათმავლობას. ასეთ დროს კი სახელმწიფომ ეს პროპაგანდა უნდა აღმოფხვრას, რადგან საჯარო სამსახურებმა შეძლონ საზოგადოების უმრავლესობის უფლებების დაცვა. საბედნიეროდ უმრავლესობა კი ის ხალხია, რომლებიც ცდილობს საქართველოს გადარჩენას! აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ყველაფრის პროპაგანდას ეწევიან

მედიასაშუალებები, სწორედაც მედიის მეშვეობით ხდება ასეთი არაეროვნოლი და მომაკვდინებელი საკითხის გაპიარება საქართველოში.

ა)მედიის როლი ამ პროპაგანდისტულ საქმეში

როგორც ვიცით, დღეს მედია ძალიან დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული პრობლემების გაშუქებაზე, მაგრამ საკითხავია მედიასაშუალებები რამდენად მართებულად მუშაობენ ზემოთ აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში. დღეს კი ამის ნათელი მაგალითი მრავლად გვაქვს სამხუხაროდ, LGBT გარკვეული ჯგუფები და მათი მხარდამჭერები და მედიასაშუალებები უცხო ქვეყნებს ისე აწვდიან ინფორმაციას, თითქოს საქართველოში ისინი დიდად შევიწროებულნი და დევნილნი არიან და ამ მოტივით სერიოზულ დაფინანსებას იღებენ. მათ სურთ თავისი აქტივობა ისე წარმოაჩინონ, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, სინამდვილეში კი ეწევიან თავისი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და პროპაგანდას და მისი ოფიციალურად დაკანონება აქვთ განზრახული, სწორედაც ამ ყველაფრის პოპულარიზაციას უწყობს ხელს მედია. მედია მეტწილად აზრის არასწორად ფორმირებას ცდილობს. რეალურად, საზოგადოების დიდი ნაწილი ამ მომაკვდინებელი ცოდვის დაკანონებისა თუ პოპულარიზაციის წინააღმდეგია, მაგრამ მედია და გარკვეული სოციალური ჯგუფები თუ ინსტრუქტები სხვა მხრივ პროვოცირებს, ხსირად კი ავადსახსენებელი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ამ უკანასკნელთა გავლენის ქვეშ ექცევიან. ვხედავთ, ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფს, ვინც მათ მხარს იმის წინაპირობად გვესახება, რომ ისინი სამომავლოდ დასაქმებას მოითხოვენ; ცალსახადაა მნიშვნელოვანი ამ თემის „განანათლების“ საკითხიც, რამეთუ ის, ვინც დღეს სტუდენტია, ხვალ კურსდამთავრებული იქნებადა მოითხოვს დასაქმებას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ მათ არ აქვთ სიცოცხლის უფლება და საერთოდაც, ჩვენ ვინ მოგვცა ამის თქმის უფლება, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია სკოლები, ბაღები თუ სხვა საჯარო სამსახურები მსგავსი ორიენტაციის ადამიანებით დაკომპლექტდეს, ვინაიდან ქართულ რეალობაში ღირსეულ საზოგადოებას ღირსეული ოჯახები ქმნიან; მათი აღზრდილნი კი საშვილიშვილო საქმეებს აკეთებენ: ცხოვრობენ ეროვნული ელემენტების

კვალდაკვალ. შესაბამისად, მედიამ ეროვნული საქმეების იდოლოგიასა და საზოგადოებამდე მიტანას უნდა შეუწყოს ხელი.

ბ) კანონი და საზოგადოება

საზოგადოება ყოველთვის უნდა იყოს კანონმორჩილი. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ „კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თითო ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზოგადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰკარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემწეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰფენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და როცა იგი ერთს ერთნაირად ექცევა და მეორეს სხვანაირად“ [ინტერნეტ წყარო 10, 1]

სწორედაც დღეს არსებული ვითარება სრულიად შეესაბამება ამ სიტუაციას, რადგან საზოგადოება ცდილობს კანონში არსებული პრობლემა დაანახვოს სახელმწიფოს და მათ წავიდნენ გარკვეულ კომპრომატებზე, ვინაიდან ამ ხალხს ვერაფერი აღუდგება წინ. ქართულ საზოგადოებამ ბევრ პრობლემას დააღწია თავი და ვიმედოვნებთ, ამასაც შემოეველება, მთავარია შევინარჩუნოთ ეროვნული მუხტი.

ქართველმა ხალხმა ძალიან ბევრი პრობლემას დააღწია თავი და ამ პრობლემასაც აუცილებლად გაუმკლავდება. ქართველი საზოგადოების ინტერესი იყო, არის და იქნება ეროვნული! და ამ ყველაფრის შემდეგ იბადება კითხვა: სად არის გამოსავალი? გამოსავალი კი შეიძლება ითქვას, მარტივია. საზოგადოების უმეტესობაზე მეტი წინააღმდეგია ამ მომაკვდინებელი ცოდვის დაკანონებისა.

შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია რეაგირებაზე იფიქროს. ყველა საჯარო სამახური ვალდებულია გაითვალისწინოს საზოგადოების უმრავლესობის აზრი. ევროპულ ტრადიციებს იქეთ მოვუწოდოთ ბევრ რამეში. ქართველი საზოგადოება კი დღემდე ქართული კულტურითა და მენტალობით მოვიდა და კვლავაც გადაანთებს საუკუნებს ნათელს. შევინარჩუნოთ და ჩამოვაცალიბოთ ისეთი საზოგადოება, როგორც ჩვენივე ისტორიამ გვიბოძა და რომელსაც დიდი გაფრთხილება სჭიდება.

აქედან გამომდინარე, სოციალური ინსტიტუტები საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობათაგანია, მაგრამ ამავდროულად მასთან ურთიერთობების დროს ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. ძლიერი საჯარო სტრუქტურებს ძლიერი საზოგადოება ქმნის და პირიქით.

თავი II: საზოგადოება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები

2.1 საზოგადოების ცნება (განმარტება) სამოქალაქო საზოგადოება

როგორც ვიცით, საზოგადოების აქტიურობით და მათი გაერთიანებით არამარტო საქართველოშიც, ასევე მსოფლიოში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ამიტომ საზოგადოება ყოველთვის უნდა იყოს აქტიური და საკუთარი ქვეყნის შენებაში უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. ჩვენ აქ ვგულისხმობთ საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედაც საზოგადოებაა იმავე ადამიანთა საზოგადოება, რომლებიც ერთმანეთთან სხვადასხვა

ურთიერთობით ან ვირტუალური ტერიტორიით დაკავშირებული მთლიანობაა. ასეთ საზოგადოებებს ახასიათებს სოციალური ურთიერთობები ინდივიდებს შორის, რომელთაც გამორჩეული კულტურა აერთიანებთ. სოციალურ მეცნიერებებში, დიდი საზოგადოება ვლინდება სტრატეგიცირებით და/ან ქვეჯგუფების დომინირებადი მოდელებით. ცნება დიდი თეორიული დებატების საგანს შეადგენდა გასული საუკუნეების განმავლობაში (ამ დებატების გადევნება შეიძლება ლოკის, ადამ ფერგიუსონის, ადამ სმიტის, ჰეგელის, ტოკვილის, მარქსის ნაშრომებში), მაგრამ მეოცე საუკუნეში იგი პრაქტიკულად დაივიწყეს და ამ ცნებისადმი ხელახალი ინტერესის გაღვივება მხოლოდ 1980-იანი წლებიდან, პოსტკომუნისტურ ტრანზიტებთან დაკავშირებით ხდება (მაგრამ ამასთანავე განახლებული მნიშვნელობით). სწორედ პოსტკომუნისტური ქვეყნების სოციალურმა მოძრაობებმა, გარკვეულწილად პოსტმარქსისტული იდეებით შთაგონებულებმა (გრამში, როგორც ყველაზე ცნობილი მაგალითი) აიღეს ლომუნვად ეს ცნება პოლიტიკურ რეჟიმებთან საბრძოლველად.

კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ საზოგადოება, დამოუკიდებელი, არასამთავრობო ნებაყოფლობითი გაერთიანებების სფეროს მნიშვნელობით, დაწყებული სამეზობლო კავშირებით და დამთავრებული ყველა სახის ინტერესთა ჯგუფებითა და საქველმოქმედო ფონდებით, ხდება ფართო მსჯელობის საგანი და განიხილება ფუძემდებლურ კომპონენტად, რომლის ფორმირება აუცილებელია როგორც დემოკრატიზაციისთვის, ასევე დამკვიდრებული დემოკრატიის სიტანსაღისთვის. ამ ფონზე მით უფრო საოცარია შეუსაბამობა საზოგადოების ცნების ფართო აღიარებასა და მის შინაარსობრივ ბუნდოვნებას შორის. შესაძლოა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო საზოგადოება, არამედ გაცილებით უფრო დამკვიდრებული ტერმინები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, დემოკრატია, ბოლო ათწლეულების გარდაქმნების შუქზე მკვლევარებს სულ უფრო საკამათოდ და არასაკმარისად გააზრებულად ეჩვენებათ.

თუ საზოგადოებაში ვიგულისხმებთ უბრალოდ „სამოქალაქო გაერთიანებების ხშირ ქსელს“, მასთან დაკავშირებული ბევრი კითხვა უპასუხოდ დაგვრჩება. ზოგიერთი

ეს კითხვა უბრალოდ განმარტებითი ხასიათისაა და უკავშირდება იმას, თუ როგორ გამოიყენებოდა და გამოიყენება საზოგადოების ცნება ამა თუ იმ ვითარებაში და ამა თუ იმ ღროს. შედის თუ არა „ბაზარი“, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოების სფეროში, თუ იგი შეადგენს საქმიანობის სხვა, „კერძო“ სფეროს? თუ ეს ასეა, ხომ არ უნდა გამოვრიცხოთ საზოგადოების სფეროდან ბიზნესის ასოციაციები, პროფესიული გაერთიანებები და სხვა? რა მიმართებაა საზოგადოებასა და პოლიტიკას შორის? სად თავდება სამოქალაქო საზოგადოება და იწყება პოლიტიკური საზოგადოება? მიეკუთვნება თუ არა პოლიტიკური გაერთიანებები სამოქალაქო საზოგადოების სფეროს, და თუ არა, სად გადის ზღვარი ინტერესთა ჯგუფსა და პოლიტიკურ პარტიას შორის? არის თუ არა ნებაყოფლობითი გაერთიანებების არსებობა თავისთავად მნიშვნელოვანი, თუ იგი არის რაღაც უფრო ღრმა, არსობრივი საზოგადოებრივი მოწყობის არსებობის გარეგანი გამომხატველი ნიშანი? სხვა კითხვები უკავშირდება არა სამოქალაქო საზოგადოების განმარტებას, არამედ მის არსს და მნიშვნელობას. რა ფუნქციონალური, ნორმატიული და სტრუქტურული წანამძღვრები განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ცნებისა და როგორც ფენომენის, არსებობას? და რას განაპირობებს, თავის მხრივ ის, რასაც შეიძლება სამოქალაქო საზოგადოება ვუწოდოთ? და საერთოდ, რას შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოება - არსებობს თუ არა მის უკან რაიმე გარკვეული ნორმატიული იდეალი, როგორც ეს დემოკრატიის ცნებასთან მიმართებაში ხდება, თუ ეს მხოლოდ ემპირიული, ნორმატიული დატვირთვისგან და შინაგანი ლოგიკისგან გამოცლილი მოვლენაა? სამოქალაქო საზოგადოების არსებობა თუკი მართლაც წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ კომპონენტს - რატომ ხდება ეს, რომელ მექანიზმებს ენიჭება ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა? ასუსტებს თუ არა სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოს ზეგავლენას მოსახლეობაზე, თუ პირიქით - ემსახურება სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმიზაციას? რატომ არის მიჩნეული, რომ ნებაყოფლობითი გაერთიანებების არსებობა დემოკრატიის ხელშემწყობი ფაქტორია? იმისდა მიხედვით, თუ რას გულისხმობენ სამოქალაქო საზოგადოების ცნებაში, სხვადასხვა ავტორები სამოქალაქო საზოგადოების არსებობის არეალს

განსხვავებული გეოგრაფიული და დროითი საზღვრებით შემოფარგლავენ. ერთი მხრივ, შეიძლება შეგვხვდეს გამოთქმა „სამოქალაქო საზოგადოება ირანში“, მეორე მხრივ კი, გელნერი ამტკიცებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს მხოლოდ დასავლურ ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში, თანაც სავარაუდოდ 1945 წლის შემდეგ. ერთი ნაწილი მკვლევრებისა სამოქალაქო საზოგადოების წარმოქმნას უკავშირებს თანამედროვეობას, სხვები მიუთითებენ ამ ტერმინის გამოყენებაზე ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში. ერთ ნაშრომში შეიძლება შეხვდეთ მტკიცებას, რომ სამოქალაქო საზოგადოებებმა დაამარცხეს კომუნისტური რეჟიმები აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, ხოლო მეორეში - რომ სამოქალაქო საზოგადოებები ამ ქვეყნებში არ არსებობდა და მხოლოდ ამჟამად ყალიბდება თანდათანობით დემოკრატიული გარდაქმნების შედეგად [ინტერნეტ წყარო 7, 18].

ამრიგად, ეს გაურკვეველობას რომ არ ქონდეს ადგილი, საზოგადოების ნებისმიერი გაერთიანება უნდა იყოს ინფორმირებული ამის შესახებ, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საზოგადოება არ ცდილობს რომ გახდეს უფრო აქტიური წევრი თავის ქვეყანაში და ასევე სახელმწიფოც არ აძლევს ამის სტიმულს. ამის ნათელი მაგალითი კი დღეს არსებული ვითარებაა, ანუ საზოგადოების უმრავლესობა არ ენდობა საჯარო სამსახურს და მათ არ იციან მათი სრული უფლებება. ამდენად, არც ერთი მხრე ცდილობს რაიმეს გაკეთებას და არც მეორე. ამით შეილება ვქვათ, რომ საზოგადოებამ შეიძლება აზარალოს სახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფოც აზარალებს საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში კი ორივე მხარე ხშირად უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული, მათი თითოეული ნაბიჯი ქვეყნის გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს და როდესაც ქვეყანა ძლიერი იქნება, მაშინ გვეყოლება ჯანსაღი საზოგადოება და ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურები.

2.2 საჯარო სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მოგეხსენებათ, საქათველოში არსებულ საჯარო სამსახურს, ყველას დაწესებულებას ყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს საზოგადოებისა და საჯარო სამსახურის

ურთიერთობაში. საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდობის ხარისხის ამაღლებისა და გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისთვის აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულების საქმიანობისა და მათ მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დანერგილი სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული ჰქონდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარების სტრატეგია, რომლის გათვალისწინებითაც მოხდება კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება და განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებები

მოქალაქეებზე ორიენტირებული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა გადანაცვების მიღების პროცესში. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისთვის კი აუცილებელია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება მოსახლეობის ინფორმირებისა და მათთან ინტერაქციის დასამყარებლად. ყველა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც მათივე განცხადებების თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, მაგრამ ძალიან ცუდია ის ფაქტი, რომ სამთავრობო უწყებების ძალისხმევა ნაკლებად არის მიმართული მათი განვითარებისაკენ. სამთავრობო დაწესებულებები არ აწარმოებენ დაკვირვებას ვებ-გვერდების მომხმარებელთა რაოდენობაზე, ხშირ შემთხვევაში ვებ-გვერდებზე არ მოიძიება უკუკავშირის საშუალებები - ელექტრონული ფოსტა ან/და ელექტრონული მინერის ფორმა. მათი არსებობის შემთხვევაში კი არ მოქმედებს არანაირი მექანიზმი ამ საშუალებების ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად. 24 საჯარო დაწესებულებიდან მხოლოდ 10 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზეა განთავსებული დამატებითი საკომუნიკაციო სერვისები და აპლიკაციები, რომელთა ეფექტურობაც

ასევე არ მონშდება საჯარო დაწესებულებების მიერ. გარდა თბილისის მერიის ვებ-გვერდისა, არცერთ ოფიციალურ ვებ-რესურსზე არ არის განთავსებული პეტიციები და ფორუმები. თავის მხრივ მოქალაქეებიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ და იშვიათად მონაწილეობენ ამ ტიპის ინიციატივებში, ნაკლებად სარგებლობენ საჯარო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული ინტერაქციული სერვისებითაც. ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია საჯარო დაწესებულებებმა შეცვალონ მიდგომა საკითხისადმი, დახვეწონ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ელექტრონულ საშუალებების განვითარებას.

- ვებ-გვერდების მომხმარებელთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოძიება, ანალიზი და დაინტერესებული ჯგუფების განსაზღვრა მნიშვნელოვანია ვებ-გვერდის ინფორმაციული ხარისხის შესაფასებლად, დასახვეწად და უფრო ფართო აუდიტორიის მოსაზიდად.

- ყველა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე უნდა იყოს მითითებული ოფიციალური ელექტრონული მისამართი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები საჯარო დაწესებულებასთან დაკავშირებას შეძლებენ. საჯარო დაწესებულებები წერილობითი კორესპონდენციის მსგავსად უნდა აწარმოებდნენ ელექტრონული კორესპონდენციის რეესტრსაც.

- კიდევ უფრო გაამარტივებს კომუნიკაციის პროცესს ელ-მინერის ფორმის არსებობა, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია კორესპონდენციის თემატურად დაყოფა და შესაბამის სტრუქტურებში ავტომატურად გადამისამართება. ამგვარად, საჯარო დაწესებულებები მინიმალურ დროში უპასუხებენ მოქალაქეების მოთხოვნებს.

- ვებ-გვერდების ინტერაქციული ხარისხის გაზრდა და ინოვაციური საკომუნიკაციო სერვისების (გამოკითხვების, განხილვების, პეტიციების, ფორუმების) დანერგვა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი რესურსის გამოყენებას, იდეების მოზიდვას და მოქალაქეებზე ორიენტირებულ მმართველობის განვითარებას.

• საჯარო დაწესებულებების მთავარ მიზანს გამჭვირვალე საქმიანობა და საზოგადოებასთან დიალოგის გზით მოქალაქეთა ნდობის მოპოვება უნდა წარმოადგენდეს, ამისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება საჯარო დაწესებულებების საქმიანობების შესახებ. სხვადასხვა ინოვაციური სერვისების დანერგვის პარალელურად უნდა მოხდეს მათი ფუნქციონირების შეფასება, პოპულარიზაცია და ამ მომსახურებებზე წვდომა მაქსიმალურად უნდა გაუმარტივონ მოსახლეობას.

•სამთავრობო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ საზოგადოებასთან ურთიერთობის თანმიმდევრული სტრატეგია, რომლის მიზანიც მოქალაქეებისთვის არა მარტო უკვე განხორციელებული პროექტების, ღონისძიებების თუ საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა, არამედ ამ პროცესებში მათ აქტიურ ჩართვა იქნება.

აუცილებელია, თითოეულ საჯარო დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს საკომუნიკაციო სტრატეგია და დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელშიც არამარტო ხედვები და პრიორიტეტები, არამედ დასახული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები იქნება განერილი თარიღების მიხედვით და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობების მითითებით. ასეთი დოკუმენტის არსებობა გაადვილებს კომუნიკაციას საზოგადოებას და მთავრობას შორის, უფრო შედეგიანს გახდის სამთავრობო დაწესებულებების მუშაობას და გაცილებით მეტი ადამიანისათვის გახდის ხელმისაწვდომს სახელმწიფო სერვისებს“ [ინტერნეტ წყარო 8.1]. სწოდაც ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, მოქალაქეებისთვის ადვილლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რადგან საქართველოში არსებული საჯარო სამსახურიბმა ადვილად მოიპოვოს ნდობა საზოგადოების და როდესაც საზოგადოება გვერდში დაუდგება ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, გვექნება ყველაერი განვითარებული.

2.3 საჯარო სამსახურისა და საზოგადოების ურთიერთობა

საჯარო სამსახურს ხშირად უნდა ჰქონდეს ურთიერთობა საზოგადოებასთან, რადგან საჯარო სამსახური საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე ვერ განვითარდება. საჯაროს სამსახურის ასეთ სისტემამ ასევე ამის მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ პირველი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელმაც მოაწესრიგა საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, დაარეგულირა საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და განსაზღვრა მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა, საქართველოში მიიღეს 1997 წლის 31 ოქტომბერს.


ამის შემდეგ აღნიშნულმა კანონმა მრავალი ფრაგმენტული ცვლილება განიცადა, რომელიც არ იყო სისტემური ცვლილებისაკენ მიმართული და გამომდინარეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული კონკრეტული მოცემულობით, რამაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად შეიცვალა და განვიტარდა 21-ე საუკუნეში. ამ ყოველივეს განხილვას კი შემდეგ თავებში შემოვთავაზებთ მანამდე კი განვიხილოთ ის პრობლემები, რაც გაჩადა ამ საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის შემდეგ, რომელიც დღემდე პრობლემად რჩება. ამ პრობლემების შესახებ კი საუბრობს ინფორმაციის თავისუფლების დაცვის ინსტიტუტი საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ დღეს მოქმედი რედაქციით ვერ უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის, როგორც ერთიანი სისტემის, გამართული, ეფექტიანი და პოლიტიკური სენტიმენტებისაგან დაცლილი სისტემის შექმნას. არსებული კანონის მოქმედების პერიოდში (განსაკუთრებით ბოლო წლებში) მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარიმართა საკონკურსო-საატესტაციო კომისიების საქმიანობა, რაზეც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ხდებოდა რეაგირება.

აგრეთვე, დღეს მოქმედმა კანონმა ვერ შეძლო საჯარო მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დაექვემდებარებოდა ერთ სახელმწიფო უწყებას და იქნებოდა ანგარიშვალდებული მის წინაშე. ასევე, ვერ ჩამოყალიბდა ეფექტიანი საჯარო სამსახური, რადგან, როგორც მინიმუმ, არ არსებობდა მოხელის შეფასების სისტემა, რაც წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძველს სისტემური პრობლემების იდენტიფიცირების, ანალიზისა და რეფორმების დაგეგმვის კუთხით.

სწორედ ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა დღის წესრიგში დააყენა რეფორმის აუცილებლობის საკითხი და საჯარო უფლებამოსილების განხორციელების იმგვარი მოდელის დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება კარიერულ წინსვლაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და მიუკერძოებლობაზე, აგრეთვე, ანგარიშვალდებულებასა და ერთიანი საჯარო სამსახურის, როგორც ერთი, მთლიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე. აქედან გამომდინარე, სრულიად ვეთანხმებით, რადგან ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. ხშირად იცვლება კონკურსის ჩატარების წესი და შესაბამისად არ არის გამართული. სწრედაც ეს იწვევს იმ პრობლემების გაღვივებას, რასაც ყოველთვის ვაწყდებოდით. სწორედაც ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებით გაიზარდა საზოგადოების საპროტესტო ტალღა, საჯარო სამსახურში გამჭვირვალობის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების პრობლემატიკაზე, რამაც ძლიერი ბიძგი მისცა რეფორმის განხორციელების პროცესს. რეფორმის გატარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგით გათვალისწინებულმა იმ საერთაშორისო ვალდებულებებმა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფომ იკისრა საჯარო სამსახურის გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ ყურადღების ობიექტში მოვაქციეთ 2003-2015 წლის საჯარო სამსახურის რეფორმები. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს პრობლემა დღემდე გვანუხებს და ამიტომაც საზოგადოება ხშირ შემთხვევაში ამაზეც ხუჭავს თვალს და ასე რომ ვთქვათ, ვერ გამოხატავენ პროტესტის გრძნობას, რადგან ფიქრობენ, რომ ამით მათ პრობლემები ექმნებათ როგორც სოციალური, ასევე ეკარგებათ მომავალი დასაქმების პერსპექტივას რაც ეს ყოველივე წამოდგენილი იქნება კვლევაში რომელსაც შემოგთავაზებთ დასკვნით ეტაპზე და დავუბრუნდებით არსებულ საკითხს [თავისეველების განვითარების ინსტიტუტი 12, 1].

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი ხშირ შემთხვევაში, ხდება სხვადასხვა კონფლიქტის მონაწილე გამონწვეული კონფლიქტი კი შეიძლება იყოს სხვადასხვა

სახის, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს დიაგრამის სახით და ასევე დახასიათებული გვაქვს თითოეული მიზეზი.



ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტები გვხვდება ჯგუფებში, ოჯახში, თემში. ამგვარ კონფლიქტს ურთიერთობის ნაკლებობა ან არარსებობა, ან სულაც წინასწარ ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები ემნის. მაგალითად, სკოლაში რომელიმე მოსწავლის მიმართ წინასწარ გაქვთ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, რისი საფუძველიც თქვენც კი არ იცით რა არის. მსგავსი დამოკიდებულება შესაძლოა სამომავლოდ კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

როგორც წესი ამ ტიპის კონფლიქტის მახასიათებლებია ურთიერთობის მნიშვნელობა და მოლოდინი; მხარეთა წვლილი და ბალანსი ამ ურთიერთობაში; მხარეთა ქცევა, მიზნები, საზოგადოებრივი დამოკიდებულება; მხარეთა შორის ნდობის ხარისხი.

ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტები ძირითადად ემოციურ ხასიათს ატარებს და მათი მოგვარება პირველ რიგში ემოციების რეგულირებას ითხოვს.

ინფორმაციული კონფლიქტი - ძირითადად ინფორმაციის სისწორესთან ან მის სიმკირე/სიჭარბესთან არის დაკავშირებული. ხშირად ინფორმაციის ხარისხი და რაოდენობა ან/და დამახინჯება იწვევს გაუგებრობასა და დავას.

ინფორმაციული კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ჭორების გავრცელების, უნებლიე დეზინფორმაციის, საჯარო ინფორმაციის არასრული გადმოცემის, ინფორმაციის ნაადრევად ან დაგვიანებით მიწოდებისა და დამახინჯების შედეგად.

ინფორმაციული კონფლიქტის გადაჭრა შესაძლებელია, თუ მხარეები იზრუნებენ ზუსტი ინფორმაციის შეგროვებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომის გაადვილების მექანიზმებზე.

ინტერესთა კონფლიქტი - ისეთი კონფლიქტია, რომელის მიზეზიც საერთო ინტერესი ან პირიქით ინტერესთა განსხვავებულობაა. მაგალითად, თუ ჯგუფის ერთ ნაწილს ექსკურსიაზე წასვლა მთაში უნდა, ხოლო მეორეს ზღვაზე, ეს შესაძლოა კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა პირიქით, საერთო ინტერესებმა განაპირობოს. მაგალითად თუ სკოლის საკალათბურთო გუნდში თამაში 20 მოსწავლეს სურს, ხოლო გუნდში მხოლოდ 10 ადგილია, ბუნებრივია ეს შესაძლოა კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

ინსტიტუციური კონფლიქტები უკავშირდება წესებს, კანონებს, ნორმებს. ამ ტიპის კონფლიქტები დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ ნორმებთან და სტანდარტებთან, კერძო სამართალთან, რელიგიასთან, სტატუსთან, ტრადიციებთან, კანონიერ ხელისუფლებასთან და მართვის სისტემებთან.

ინსტიტუციური კონფლიქტის გადაწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები დათანხმდებიან საჯარო განხილვას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს. ღირებულებითი კონფლიქტები დაკავშირებულია გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამ თუ იმ მოვლენისადმი; იმასთან, თუ რა არის კარგი და ცუდი, სამართლიანი და უსამართლო, მორალური და ამორალური.

ღირებულებითი კონფლიქტის დროს ძირითადად ორი საპირისპირო ღირებულებაა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, მაგ: თავისუფლება - წესრიგი, პირადი დისციპლინა -

გარეშე კონტროლი. ასეთი კონფლიქტების მოგვარება ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან როცა საქმე ადამიანურ ღირებულებებს ეხება, კომპრომისი განსაკუთრებით ძნელი მისაღწევია.

ა) კონფლიქტების გადაჭრის გზები

მიიჩნევა, რომ საზოგადოებრივი კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო საშუალება მოლაპარაკებაა. მოლაპარაკება შეიძლება იყოს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური.

ჰორიზონტალური მოლაპარაკებები თანაბარუფლებიან მხარეებს შორის წარმოებს, ხოლო ვერტიკალური მოლაპარაკებების დროს მომლაპარაკებლის როლში გამოდის ლიდერი რომელიც მას საკუთარი გუნდის წევრებთან აწარმოებს.

ყველა შემთხვევაში მოლაპარაკებებით სასურველი შედეგის მიღწევა და კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში დაპირისპირებული მხარეები მესამე მხარეს - შუამავალს, არბიტრს, ფასილიტატორს და ა.შ მიმართავენ.

შუამავალი მნიშვნელოვანია იყოს საკითხისადმი ნეიტრალური და მიუკერძოებელი, მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს ხელი შეუწყოს მოლაპარაკებების პროცესის წარმართვას და მხარეებს გადანწყვეტილებების მიღების პროცესის გასაადვილებლად პროცედურებს სთავაზობდეს.

შუამავალი შესაძლოა იყოს ფორმალური (ოფიციალური), როცა მისი საქმიანობა სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკას ეყრდნობა ან არაფორმალური (არაოფიციალური), როდესაც მხარეები პრობლემის გადაჭრისთვის არაოფიციალურ, მაგრამ მათთვის ავტორიტეტულ პიროვნებას მიმართავენ.

მოლაპარაკებისა და შუამავლობის პროცესის მსგავსი პროცესია ფასილიტაცია, რომელშიც ძირითადი ყურადღება მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გადანწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავების პროცესს ექცევა.

კონფლიქტის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია სწორი და ეფექტური სტრატეგიის შერჩევა. საზოგადოებრივი კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებს შორის გამოყოფენ რამოდენიმე ეტაპს რომელიც ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად კომპრომისი - რომელიც არის ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით

მხარეები შეთანხმებას აღწევენ ურთიერთდათმობის ხარჯზე. საკითხების ფართო სპექტრზე მხარეთა შეთანხმება თითქმის ყოველთვის კომუნიკაციის –ის ხარჯზე ხორციელდება. ასევე კონფლიქტის მოგვარება შეიძლება **თანამშრომლობით** რომელიც გულისხმობს საკუთარი ინტერესების აქტიურად დაცვა; მეორე მხარესთან თანამშრომლობა; შეთანხმების გრძელი პროცესი; ორივე მხარე აღიარებს ერთმანეთის ინტერესებს; კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი ურთიერთობანი. ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი ხდება **კონკურენცია** ამის ნათელი მაგალითი კი შეიძლება მოვიყვანოთ საჯარო სამსახურში გამოცხადებული კონკურსები ამ დროს დამსაქმებელი ვალდებულია კონკურსის ეტაპი სრული წესით დაცვით ჩაატაროს და ყველაფერი გააკეთოს ისე რომ კონკურენტ მხარეებმა თავი დამცირებულად არ იგრძნოს მაგრამ როდესაც არის ჯანსაღი კონკურენცია იქ არც კი არის კონფლიქტის მიზეზი. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ხშირ შემთხვევაში კონფლიქტი სრულდება **შეგუებით** რაც ეს ძალიან უარყოფითად აისახება პიროვნების ყოფაზე აი მაგალითად: როდესაც ადამინთა გარკვეული კატეგორია ხდება რაიმე უსამართლობის მომსწრე ის ცდილობს, რომ რაღაცნაირად გამოასწოროს ეს სიტუაცია, მაგრამ როდესაც შედეგს ვერ ხედავს ის ეგუება არსებულ ვითარებას უხეშად, რომ ვთქვათ ფარხმალს ყრის რაც ეს ძალიან ცუდია იმიტომ, რომ ის აღარ ცდილობს იმ პრობლემის მოგვარებას და საფრთხეს უქმნის მომავალ თაობას, რომლებიც შეიძლება გახდნენ ამ უსამართლობის მსხვერპლი მომავალში. სწორედაც საზოგადოებამ არ უნდა დახუჭოს თვალი არცერთ უსამართლობაზე რათა მალევე იქნე აღმოფხვრილი და გამოსწორდეს უკეთესობისკენ [ინტერნეტ წყარო- 11, 1]

2.4 საჯარო უწყება და მედია

როგორც ვიცით, ყველა სამსახურს გაჩნია თავის პრეს სამსახური. ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი, ასევე სამსახურის სპეციალისტი, ჟურნალისტს ნებისმიერ შემთხვევაში პრესსამსახურთან ამისამართებს. “გავარკვევ და დავირეკავთ”, –

უმეტესწილად ასეთია პრესსამსახურის უფროსის ან სამსახურის თანამშრომლის პასუხი. გარკვევის პროცესი რამდენიმე საათს ან რამდენიმე დღესაც კი გრძელდება.

ცნობილმა სასამართლო (რეპორტიორმა ლილ დენინსტონმა) ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე პირდაპირ მიანიშნა პრესსამსახურებზე, უფრო სწორად, ამ სამსახურების მოხელეებზე, როგორც ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ეფექტურ წყაროზე და აღნიშნა, რომ ურთიერთობათა სწორად წარმართვის შემთხვევაში, პრესმოხელე გაცილებით მეტ “მოგებას” ნახულობს, ვიდრე - ჟურნალისტი, ხოლო თუ მოხელე შეცდომას დაუშვებს, ეს ჟურნალისტისათვის “სასიამოვნო საჩუქარია”, რომელსაც იგი აუცილებლად გამოიყენებს და საეჭვოა, რომ ეს სახელმწიფო უწყების სასარგებლოდ მოხდეს.

პრესსამსახურის მუშაობის ეფექტურობას, პირველ რიგში, განსაზღვრავს ის, თუ რამდენად წარმატებულად ართმევს ეს რგოლი თავს პრესსამსახურის ორ ძირითად ფუნქციას: მედიასთან ურთიერთობასა და კომუნიკაციას.

პრესსამსახურებს ძირითადად ორი მიმართულებით უწევთ მუშაობა. ესენია:

I - მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებლივი რეაგირება;

II - გრძელვადიან სტრატეგიაზე მუშაობა.

პრესსამსახურის სტრუქტურას ბევრ ქვეყანაში სწორედ ეს ორი ძირითადი მიმართულება განსაზღვრავს. ახალი ამბების ნაკადის მართვაზე, ყოველდღიურად წარმოშობილ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე, მედიასთან კონტაქტების დამყარებაზე, მედიაარელიზების, პრესკონფერენციების მომზადებასა და ინტერვიუების ორგანიზებაზე უშუალოდ **პრესმდივანი** ზრუნავს; ხოლო გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, მესიჯების ჩამოყალიბება, საჯარო გამოსვლების მომზადება კომუნიკაციის დირექტორის მოვალეობებში შედის.

თუმცა, თუ რეალობიდან გამოვალთ, მწირი ადამიანური და თუნდაც ფინანსური რესურსების პირობებში, ჩვენში ორთავე ფუნქციას მეტწილად პრესმოხელე ითავსებს,

რომელსაც ხშირად თავად უწევს როგორც ფაქტების გაგზავნაზე დროის ხარჯვა, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაზე ზრუნვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, ერთი კაცით იქნება დაკომპლექტებული პრესსამსახური, თუ ორმოცდაათით, უწყებამ უნდა უზრუნველყოს ის ბაზისური მოთხოვნები, რომელსაც მას საინფორმაციო საშუალებები ანუ ჟურნალისტები უყენებენ.

ერთის მხრივ, პრესსამსახურმა უნდა უზრუნველყოს მედია

- მისთვის საინტერესო ინფორმაციით;
- საჭირო დოკუმენტებით;
- პრესკონფერენციისთვის მედიაარელიზის და საინფორმაციო პაკეტის მომზადების მეშვეობით დაეხმაროს ჟურნალისტს, რედაქციაში მისვლისას, კიდევ ერთხელ გადაამოწმოს იმ ციფრებისა, თუ სხვა ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე, რომლებზეც პრესკონფერენციაზე იყო საუბარი;
- დაეხმაროს ჟურნალისტს იმ პირის შერჩევასა და მასთან დაკავშირებაში, ვინც ყველაზე კომპეტენტურად გასცემს პასუხს მის კითხვებს;
- დაეხმაროს ინტერვიუს ორგანიზებაში.

მეორეს მხრივ, პრესსამსახური ვალდებულია,

- ყოველდღიურად მიაწოდოს უწყების ხელმძღვანელს მედიის მონიტორინგის მასალები;
- დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მედიაში გასულ ნეგატიურ ან არაზუსტ ინფორმაციაზე;
- უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა უწყებაში გამართულ შეხვედრებში და მხოლოდ ამის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, უწყების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, გადაწყვიტოს ამა თუ იმ ინფორმაციის გავრცელების ფორმა;

- უწყების ხელმძღვანელთან ერთად ან შეთანხმებით, შეიმუშაოს მესიჯი;
- საჭიროების შემთხვევაში თავად აიღოს მედიასთან კონტაქტის ვალდებულება; უზრუნველყოს საჯარო შეხვედრების ორგანიზება.

ამ ამოცანათა შესრულება, ცხადია, შრომის რაციონალურ განაწილებას გულისხმობს, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანური რესურსის არსებობის შემთხვევაში, გაცილებით ეფექტურად მიიღწევა. ისეთ უწყებებში, სადაც ოპერატიული ინფორმაციის ნაკადთან გვაქვს საქმე, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროში, აპრობირებულია პრესსამსახურის თანამშრომლის სადღეღამისო მორიგეობა. ასეთ მეთოდს, ექსტრემალური სიტუაციების დროს, სხვა უწყებებიც მიმართავენ. მორიგეობა უწევს პრესსამსახურის თანამშრომელს, რომელიც იღებს და ავრცელებს, ძირითადად სააგენტოების მეშვეობით, ოპერატიულ ინფორმაციას, პასუხს სცემს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

კოორდინაცია. ძალზედ მნიშვნელოვანია შიდაუწყებრივი კოორდინირება, რათა შედეგად ერთი და იმავე უწყებიდან ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გადინება არ მივიღოთ. სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როცა პრესსამსახურის ერთ თანამშრომელს ჟურნალისტის შეკითხვაზე თავისი ვერსია აქვს, მეორეს - სხვა, თავად უწყების ხელმძღვანელს კი - სრულიად განსხვავებული. კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფისთვის, პრესმოხელე უშუალოდ უნდა იყოს ჩართული უწყებაში მიმდინარე მოვლენებში: ესწრებოდეს სამუშაო თათბირებს და ტელეფონით არ იგებდეს ცნობებს მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დილის თათბირებზე დასწრება, როცა დღისა და ზოგჯერ მომავალი კვირის განრიგიც კი იგეგმება. სწორედ უწყების ხელმძღვანელთან დაგეგმილი ღონისძიებების მიხედვით უნდა განისაზღვროს პრესსამსახურის ყოველდღიური თუ ყოველკვირეული საქმიანობა.

პრესსამსახური თავის საქმიანობას უნდა ათანხმებდეს არა მარტო უწყების ხელმძღვანელთან, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეეძლოს სხვა უწყებებთან

კოორდინირებას. როგორც ჟურნალისტს მოეთხოვება ნებისმიერი გზით მისთვის საინტერესო თემაზე ინფორმაციის მოპოვება, პრესსამსახურმაც უნდა შესძლოს ჟურნალისტის დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. შესაძლოა ამ მიზნის მისაღწევად მას ვინაობის ვინაობის არეალიდან გამოსვლაც კი მოუწიოს და სხვაგან მოუხდეს საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

მედია მონიტორინგი. რამდენადაც პრესსამსახური ხელს უწყობს დიალოგს საზოგადოებასა და იმ უწყვეტ ბას შორის, რომელსაც თავად წარმოადგენს, ეს მედიაცია კი თავად მედიის გარეშე წარმოუდგენელია, მნიშვნელოვანია, პრესსამსახურმა უწყების ხელმძღვანელს ყოველდღიურად მიაწოდოს ბეჭდური და ელექტრონული მედიით გავრცელებული ინფორმაცია.

მედია მონიტორინგზე ზოგიერთ უწყებაში სპეციალური ჯგუფები მუშაობენ, ზოგიერთი უწყება კი სპეციალურ კომერციულ სამსახურებს უკვეთავს მედია მონიტორინგის მომზადებას. ცხადია, სრულფასოვანი მონიტორინგის ჩატარება გარკვეულ დროს მოითხოვს, თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პრესსამსახური მონიტორინგის ჯგუფის მუშაობას უნდა დაელოდოს და ყოველ დღით არ მიაწოდოს თავის ხელმძღვანელს პრესის დაიჯესტი. მით უმეტეს, რომ მედიაში, შესაძლოა, ისეთი ინფორმაცია გავრცელდეს, რომელიც დაუყოვნებელ რეაგირებას საჭიროებს და ამის შესახებ, პირველ რიგში, უწყების ხელმძღვანელი უნდა იყოს ინფორმირებული.

ამრიგად, პრესსამსახურები ძირითადად ორი სახის მედია მონიტორინგს ამზადებენ:

- ყოველდღიურ დაიჯესტს;
- ყოველკვირეულ ან ყოველთვიურ ანალიტიკურ მიმოხილვას.

უწყების ხელმძღვანელისთვის ყოველდღიური დაიჯესტის მომზადებისას, პრესმოხელემ უნდა შეძლოს მედიაში ყოველდღიურად მომდინარე ინფორმაციის ნაკადიდან იმ მნიშვნელოვანის ამოკრეფა, რომელიც შეიძლება საყურადღებო აღმოჩნდეს მისი შეფუძისათვის. მნიშვნელოვან ინფორმაციაში იგულისხმება არა

მხოლოდ ის პუბლიკაციები, რომლებიც უშუალოდ ამ უწყებას ან მის ხელმძღვანელს შეეხება, არამედ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებული ისეთი საკითხებიც, რომელთა შესახებ უწყების ხელმძღვანელი ინფორმირებული უნდა იყოს.

მაგალითად, საოლქო სასამართლოს პრესმოხელემ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ პუბლიკაციებზეც, რომლებიც უშუალოდ საოლქო სასამართლოში გამართულ პროცესებსასახავს და ისეთებზეც, რომლებშიც ამა თუ იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე საუბარი დარომელთა საფუძველზე მოსამართლეს მომავალში გადანყვეტილების მიღება მოუწევს. პრესმოხელემ არ უნდა აარიდოს თავი ამგვარი ინფორმაციის მომზადებას იმ მიმართ, რომ მისი უწყების ხელმძღვანელი საკანონმდებლო სიახლეებს უწყებრივი გამოცემიდან ისედაც შეიტყობს. წმინდა საკანონმდებლო ფორმულირებების გარდა, მნიშვნელოვანია, იგივე მოსამართლე ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა არგუმენტებით ხელმძღვანელობდნენ კანონმდებლები ამა თუ იმ საკანონმდებლო ცვლილების მიღებისას და როგორი საზოგადოებრივი აზრი ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველკვირეული ან ყოველთვიური ანალიტიკური მონიტორინგის მომზადება გაცილებით პრომატევადი საქმეა, რომელზეც სპეციალური უგუფები მუშაობენ. პრესის მონიტორინგის გარდა, საჭიროა სატელევიზიო გადაცემების აღნუსხვაც. ანალიტიკურ მონიტორინგში ხდება პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციის ცალ-ცალკე დახარისხება და ზოგადი ტენდენციების სწორედაც ყველა პრეს სამსახური ასევე მედია ვალდებულია საზოგადოებასთან მიითანოს ის რელური მოვლენები რაც ქვეყანაში ხდება მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არც მედია და არც პრეს სამსახური არ ცდილობენ იმას რომ საჯარო უწყებასა და საზოგადოებაში შექმნან იდეალური გარემო მაგრამ იბადება კითხვა რატომ ხდება ასე? ეს ჩვენი აზრით იმიტომ არის ასე რომ პრეს სამსახური ცდილობს თავი არიდოს თავის პასუხისმგებლობას და მოვალეობის მოხდის მიზნით კი გვანვდიან არასრულ ინფორმაციას რაც ხშირად ხდება საზოგადოების კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი ასევე უნდა ავრნიშნოთ ისიც რომ მედია საშვალეების უმრავლესობა დღეს საქართველოში არის პოლიტიკური კუთვნილება რაც ძალიან კარგად გამოიხატება დღევანდელ რეალობაში სწორედაც ამ

ყოველივეს რომ ხერდავს საზოგადოება უჩდებათ უსამართლობის განცდა და ხშირ შემთხვევაშიც გამოდიან ძალიან დიდი პროტესტით. სწორედაც მედია უნდა იყოს შუამავალი სახელმწიფოსა და ხალხს შორის და იგი უნდა ათვისდებოდეს რომ მნიშვნელოვანი თუნქცია აკისრია საზოგადოებისა და სახელმწიფოს

2.5 ურთიერთობების ჩამოყალიბება საჯარო მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კონცეპტუალურ საკითხებში

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ძალიან დიდი ცვლილებები განიცადა საჯარო სამსახურმა. სისტემატიზაციის პირველი ეტაპი 1992-2003 წლებში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობის ზრდით დაიწყო. საქართლო 9 მხარედ დაიყო. მათ სათავეში ედგნენ პრეზიდენტის მიერ დანიშნული „რწმუნებულები“. ამით ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სისტემა სამ საფეხურიან სტრუქტურად გადაიქცა: იერარქიის სათავეში - მხარე (რეგიონი), მის შემადგენლობაში შემავალი რაიონები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სოფლის საბჭოები (შემდგომში საკრებულოები). ამით მივიღეთ მმართველობის შემდგომ ბიუროკრატიზაცია და არაეფექტურობა, რაც არ შეესაბამებოდა რეალობას და ვერ ახორციელებდა იმ სისტემას, რომელსაც უნდა ემართა საჯარო სამსახური, მაგრამ არსებული ვითარება მკვეთრად შეიცვალა უკვე 21-ე საუკუნეში, როდესაც სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მათ 2003-2012 წლებში ხელისუფლებამ რაიონებს სახელი გადაარქვა და 1000-მდე თვითმმართველი ერთეული მუნიციპალიტეტებად იქცა. ამ მიდგომით მცირე სასოფლო თემიც, მოზრდილი სოფელიც და ქალაქიც ახალ მუნიციპალიტეტებად იქცა. დაინერგა ქალაქის მერისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის არაპირდაპირი არჩევნების ინსტიტუტი, ანუ მერსა და გამგებელს საკრებულოს თანხმობით ნიშნავდა ქალაქის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე. ამით ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებულ მმართველ პოლიტიკურ პარტიას ამ მაღალ თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატის გაყვანის სრული გარანტია ჰქონდა. გამონაკლისი იყო თბილისის მერის თანამდებობა, რომელიც 2010 წლიდან პირდაპირი, საყოველთაო წესით, არჩევითი

გახდა. ამ პერიოდში გაუქმდა სოფლის საკრებულოები და დაწესდა ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულის თანამდებობა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიშნავდა. მას ჰქონდა მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან კოორდინირების ფუნქცია.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილებით შეიქმნა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმის გატარების მცდელობა. კერძოდ, მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებს (მათი რაოდენობა 5-დან 12-მდე გაიზარდა) გადასცა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და სოციალურ-ეკონომიკური უფლებამოსილებები. ეს რეგიონული დეცენტრალიზაციისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო. თუმცა 2017 წლიდან თვითმმართველ ქალაქების რიცხვი კვლავ 5-მდე შემცირდა. ნიშანდობლივია, რომ 2014 წლის რეფორმით მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ქალაქის მერის თანამდებობები პირდაპირი წესით არჩევითი გახდა. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი დემოკრატიული განვითარების მიმართულებით. [საბიუჯეტო კოდექსი-6, მუხლი 90].

ვეთანხმებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეს რეფორმაც მხოლოდ ნაწილობრივი და არასრულია. კერძოდ, აუცილებლად უნდა შემცირებულიყო მუნიციპალიტეტების უაღრესად დიდი რაოდენობა. უნდა გადაწყვეტილიყო ბიუროკრატიზაციის პრობლემა, რაც ზრდის საბიუჯეტო ხარჯებს და ამცირებს რეგიონების მართვის ეფექტიანობას. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საჯარო სამსახურში 2004 წლიდან. სანყის ეტაპზე საჯარო სამსახურის რეფორმირების მოკლევადიანი მიზნები ითვალისწინებდა ყველაზე მტკივნეული ამოცანების მინიმალურ დროში გადაჭრას. ამ ეტაპზე:

- მთავრობამ განახორციელა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ინსტიტუციური რეფორმები;
- საჯარო სამსახურის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მოხდა დაიწყო საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია;
- პოზიტიური ცვლილებები შევიდა საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის სისტემაში;
- საგრძნობლად შემცირდა კორუფციული გარიგებების შესაძლებლობები, სახელდობრ კორუფციული ქმედებები საჯარო სამსახურში;

- დაინერგა ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვის თანამედროვე სისტემები და მექანიზმები;
- გაიზარდა მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა;
- შემცირდა მთავრობის მხრიდან კერძო სექტორის რეგულირება.

განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად შემცირდა სახელმწიფო ინსტიტუტების რაოდენობა, ასევე, მოხდა ზოგიერთი მათგანის გამსხვილება. შესაბამისად, საჭირო გახდა საჯარო მოხელეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია. საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში სამინისტროების თანამშრომელთა რაოდენობა (2004-2005 წლებში) 102571-იდან 66615-მდე (35%-ით), ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა საქვეუწყებო დაწესებულებებში 23769-იდან 8237-მდე (65%-ით) შემცირდა. მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით საქართველოში 2003 წლის შემდგომი ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები ერთგვარად სამაგალითოდ იქნა მიჩნეული. აღნიშნულის არგუმენტებად მოტანილია: რეფორმების ნება და მათი განხორციელების სისწრაფე, კორუფციის მაქსიმალური შევიწროება, აქცენტი ახალგაზრდა კადრებზე, რომლებიც გამოირჩევიან თანამედროვე ცოდნით და უნარებით, კერძო სექტორის გაძლიერება, გამჭვირვალობა. [2-10]

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა მთავრობამ რეფორმების გაგრძელებისა და მხარდაჭერის ერთგვარი ვალდებულება აიღო. ამისთვის მან დაამტკიცა ახალი ახალი რეგულაციები და ცვლილებები

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 29 ივნისს ცვლილებები შეიტანა საქართველოს კანონებში „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“. ცვლილებების პროექტი შემუშავდა საჯარო სამსახურის ბიუროს ავტორობით და საჯარო სამსახურში არსებული მთელი რიგი საკითხების დახვეწა-გამარტივებას ემსახურება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- ცვლილებით განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა კულტურული, საგანმანათლებლო ან რელიგიური ნიშნით შექმნილი) ვალდებულება, კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადონ www.hr.gov.ge-ს მეშვეობით; ამავდროულად გაუქმდა საჯარო მოსამსახურის ვალდებულება, წარადგინოს

შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. სანაცვლოდ ის პირები, რომლებიც კორუფციის უფრო მაღალი რისკის შემცველ პოზიციებზე იმყოფებიან განისაზღვრენ „თანამდებობის პირებად“. შესაბამისად, მათ დაეკისრათ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულება;

დანინაურების შეზღუდვა მოიხსნა იმ საჯარო მოხელეთათვის, რომლებიც 6 თვეზე მოკლე პერიოდი მსახურობდნენ ერთ თანამდებობაზე; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა გამოსაცდელი ვადის გამოყენების შესაძლებლობას კონკურსის საფუძველზე მიღებულ და თანამდებობაზე სამსახურებრივი წინსვლის გზით დანიშნულ პირთათვის. ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა; დადგინდა, რომ „ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დროებით მოვალეობის შემსრულებლები არა უმეტეს 1 წლის ვადით დანიშნებიან, ხოლო სხვა ვაკანტურ თანამდებობებზე - არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამასთან, განისაზღვრა, რომ იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია.

ამრიგად, ეს პროცესი ძალიან დაეხმარა საჯარო სამსახურებს განვითარებაში, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ არ უნდა იყოს, საჯარო სამსახურებს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები სჭირდება, რათა მოიპოვონ საზოგადოების ნდობა და ეფექტურად გამოიყენონ!

თავის.III საზოგადოებრივი აქტიუობა

3.1 საზოგადოებრივი მოთხოვნის განპირობებული ფაქტორი

მოგეხენებათ, რომ სახელმწიფომ საზოგადოების მიერ წამოყენებული საკითხები კარგად უნდა შეისწავლოს და საზოგადოების პროტესტი გულთან მიიტანოს ასევე ყველა ახალ დანყებულ პროექტს უნდა მისცეს საჯაროობა და რაც მთავარია სამოქალაქო და პროფესიული საზოგადოების ჩართულობა უნდა უზრუნველყოს. ასევე ყველა სახელმწიფო თუ საჯარო მოხელე, უნდა აცნობიერებდეს იმას რომ საზოგადოების ჩართულობა ძალიან წადგება ყველა ახალ დანყებულ პროექტს ამასთანავე, უნდა აცნობიერებდენ, რომ ცალკეული ორგანიზაციების ბრძოლა ლოკალური თუ კომპლექსური პრობლემების წინაშე ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. ასევე ძალიან კარგი იქნება და მოუწოდებთ რომ ყველა დაინტერესებულ პირმა, ორგანიზაციებმა, პოლიტიკურ ძალამ ცალსახად დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია ურბანულ, კულტურულ-მემკვიდრეობით, გარემოს დაცვით, სოციალურ, სამართლებრივ სფეროში მიმდინარე საგანგაშო პროცესებთან მიმართებაში და შეუერთდნენ მოძრაობას, რომლის მიზანიც არის ქვეყნის გადარჩენა, უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგებისგან! მაგრამ ისმის კითხვა არის ასეთი მოძრაობა საქართველოში მე მგონია რომ არა ეს იმის ბრალია რომ საქართველოში არსებული არასამთავრობოების უმეტესობა არის პოლიტიკური კუთვნილება და მათ მხოლოდ პიოლიტიკა აინტერესებთ ანუ როგორ აკეთონ ფული

და რაიმე სარგებელი მიიღონ საზოგადოებისგან სწორედაც ასეთი ორგანიზაციები იქმნება ზაგოდოების ხარჯზე მაგრა ეს პრობლემა შეიძლება გამოსწორდეს რათქმუნდა ამას სჭირდება ძალიან ბევრი დრო და ენერჯია. საზოგადოება ყოველთვის უნდა იყოს აქტიური სახელმწიფოს მიმართებაში და ასევე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების აქტივობის ჩამოყალიბება. ვინაიდან, დღეს აღარ არის დაპირისპირების და კონფრონტაციის დრო, რადგან სახელმწიფოში ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი სამოქალაქო მოძრაობა „ერთად“ ყველა დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას, ვინც იზიარებს ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობას, უნდა გაერთიანდნ ერთმუშტად და შეცვალონ ქვეყნის ისტორია როდესაც გვყავს ჯანსაღი საზოგადოება ასევე გვყავს ძლიერი სახელმწიფო და ძლიერ სახელმწიფოში კი მოიაზრება ყველა სახელმწიფო დაწესებულება რომელმაც საზოგადოებისთვის უნდა იზრუნოს. ასევე როდესაც დაინახავს საზოგადოება რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე , საზოგადოებაც გახდება მეტი აქტიური.

3.2 მოთხოვნა მინოდების პრინციპი

ნებისმიერი საჯარო სამსახური ვალდებულია საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა შეასრულოს! მაგალითად ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებიდან და ასევე საჯარო სამსახურები ვალდებულნი არიან მიანოდონ ეს ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს კანონის თარგლებში მაგრა მოქალაქეები სანამ მივლენ საჯარო დაწესებულებაში უნდა იცოდნენ შემდეგი რამ, მაგალითად რა არის საჯარო ინფორმაცია? ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული

ინფორმაცია. ასევე უნდა იცოდეს რა სახის ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია მას და მან უნდა იცოდეს რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ასევე დახურულია და არ გაიცემა აღმასრულებელი პრივილეგიით დაცული ინფორმაცია. ასევე საჯარო ინფორმაცია გაიცემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირისთვის ამავდროულად საჯარო სამსახურმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ის რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას

ამრიგად, ნებისმიერი საჯარო სამსახური ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია ამავდროულად ეს ინფორმაცია უნდა იყოს დასაბუთებული შესაბამისად, რადგან საზოგადოებისთვის გაუგებარი არ იყოს არსებული ვითარება რაც მას აინტერესებს
[\[https://napr.gov.ge/p/723 \]](https://napr.gov.ge/p/723)

3.3 სიძულვილის ენა საჯარო სამსახურებში და საზოგადოებრივი პროტესტი

ტელევიზიებით, ინტერნეტსა და საჯარო თავშეყრის ადაგილებში ხშირად გვხვდება ამა თუ იმ ადამიანის მიერ, ასევე საჯარო მოხელის მიერ და თანამდებობის

პირის მიერ სიძულვილის ენით საუბარი. ეს ყოველივე რა თქმა უნდა, ცუდად აისახება ეთიკის ნორმებზე. ხშირად ყოფილა შემთხვევა საჯარო სამსახურის თანამდებობის პირს უთქვამს ისეთი რაღაცა, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო. ეს ყველაფერი ქმნის საპროტამ ყოველივეს კი წარმოქმნა ძალიან დიდი პროტესტის ტალღას. ამ ყველაფერმა საჯარო სამსახურებში შიდა რეგულაციები წარმოქმნა.

სიძულვილის ენის შეზღუდვის დასარეგულირებლად ზოგიერთ საჯარო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი ან თანამშრომელთა სახელმძღვანელო. ცალკეულ შემთხვევებში, სიძულვილის ენის აკრძალვას უწყებები შინაგანაწესში ან დებულებაში ითვალისწინებენ. მაგალითად 2006 წლის საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობას აწესრიგებს, საზოგადოებასთან ურთიერთობისას პროკურატურის მუშაკი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას. მე-6 მუხლი ასევე კრძალავს „ისეთი შეხედულების გამოხატვას, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით.“ ასევე ასეთი დებულებები ჩადეს სხვადასხვა სამსახურებმა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის ბრძანებით დამტკიცდა ეთიკის კოდექსი, 2015 წლის 25 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2010 წელს ბრძანება, 2013 წლის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეთიკის კოდექსის, 2013 წლის საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიუროს შინაგანაწესის მე-5 მუხლის მიხედვით, 2011 წლის მანდატურთა ეთიკის კოდექსში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ეთიკის კოდექსში ერთიანი აზრი დევს და გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ საჯარო მოხელეებმა ეს კოდექსი სრულფასოვნად შეასრულეს, რა თქმა უნდა, გვექნება ისეთი

საჯარო სამსახური, რაც საზოგადოებისთვის მისაღებია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებულ ეთიკის კოდექსში ყველგან არის საუბარი საზოგადოების ინტერესებზე, ეს ყოველივე რა თქმა უნდა თუ საჯარო სამსახურებმა სწორად გამოიყენებეს და მიაქცევს ყურადღებას აღნიშნულ კანონს, რადგან თუ დაირღვა კანონი, ასეთ შემთხვევაში ირღვევა საზოგადოების ინტერესიც [9, თავი 3].

თავი IV

სოციალური კვლევა

საკითხის სიციხადისთვის გთავაზობთ ჩვენ მიერ ჩატარებულ სოციალურ კვლევას, რომელიც მომზადებულია ჩვენივე სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში.

კვლევა ჩატარდა შესაბამის კითხვარზე დაყრდნობით:

სქესი: *

.მამრობითი

.მდედრობითი

ასაკი *

.15-25

.26-35

.36-45

.46 დან ზემო

განათლება *

საბაზო

სრული ზოგადი

უმაღლესი

1.რა არის უმთავრესი პირობა საჯარო მოხელისთვის

. საჯარო მოხელე უნდა იყოს განათლებული და პრომისმოყვარე;

. თავისი საქმის პროფესიონალი;

.საჯარო მოხელე უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი,

.ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება უნდა ახასიათებდეს საჯარო მოხელეს

2. როგორ გამიჯნავთ სამსახურისა და საჯარო სამსახურის ცნებას ? *

3. ვინ არის საჯარო მოხელე:

.საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი

. ნებისმიერ ორგანიზაციაში დასაქმებული პირი

. ნებისმიერი მოქალაქე

4, რა არის საზოგადოება:

.ეს არის კონკრეტულ სივრცეში არსებულ ყოველგვარ ურთიერთობათა სოციალური ჯამი;

. საზოგადოებას უწოდებენ სხვადასხვა დონის სოციალურ ერთობები;

.ინტელიგენტ ადამიანთა ჯგუფი, რომელთა სოციალური მდგომარეობა მაღალია.

5. ვინ ქმნის საზოგადოებას:

.ადამიანთა ერთობა

.სახელმწიფო

6. როგორ გესმით სამოქალაქო საზოგადოება:

. მოქალაქეთა ერთობა;

.სოციალურ გარემოში დომინანტი ერთობა

. ეს არის კონკრეტულ სივრცეში არსებულ ყოველგვარ ურთიერთობათა სოციალური ჯამი;

7, როგორია დასაქმების არეალი საქართველოში

.კარგი

.ცუდი

.საშუალო

რატომ ფიქრობთ ასე ? გთხოვთ პასუხი დაასაბუთოდ

8. მოქალაქეთა უმრავლესობა სადაა დასაქმებული: *

.კერძო სექტორში

.საჯარო სექტორში

გთხოვთ დაასაბუთოდ თქვენი პასუხი რატომ კერძოში და რატომ საჯაროში?

9. თქვენი დაკვირვებით, როგორია მსგავსება-განსხვავება საჯარო და კერძო უწყებაში დასაქმებულთა შორის *

10. საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის უმნიშვნელოვანესია:

.კომუნიკაბელურობა;

.ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება;

.მათი მისწრაფებების ცოდნა, რათა სწორად მივიღეთ თითოეულ მათგანამდე

11 როგორ შეაფასებთ მოქალაქეთა ნდობას საჯარო უწყებებისადმი

დადებითად

უარყოფითად

გთხოვთ დამისაბუთოდ პასუხი-----

12. თქვენი, როგორც საზოგადოების წევრის აზრით, არის თუ არა დღევანდელი საჯარო უწყებები კორუმპირებული?

.დიახ

.არა

.ნაწილობრივ

გთხოვთ დამისაბუთოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რატომ?

13. რამდენად ენდობით საჯარო უწყებების მიერ გამოცხადებულ კონკურსებს?

.სრულიად ვენდობი

.არ ვენდობი

.ნაწილობრივ ვენდობი

გთხოვთ დამისაბუთოდ პასუხი *-----

14 ,საჯარო სამსახურებში სტაჟირება უნდა იყოს თუ არა ანაზღაურებადი?

.დიახ

.არა

გთხოვთ დამისაბუთოდ პასუხი რატომ?

15. დავუშვათ რომ თქვენ ღებულობთ მონაწილეობას საჯარო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურში მონაწილეობას და ამ დროს თქვენ შეამჩნიეთ რომ ეს გამოცხადებული ვაკანსია მხოლოდ ფორმალურაა და მათ ყავთ უკვე რეალური კანდიდატი. ამ დროს თქვენ ხვდებით რომ ირღვევა თქვენი უფლებები და თქვენს ნიჭსა და კომპეტენციას ვერ აფასებენ რეალურად, ასეთ მომენტში გაასაჩივრებთ თუ არა აღნიშნულ რეალობას შესაბამის უწყებებში? რათა თქვენი უფლებები არ დაირღვეს

.დიახ დაუყოვნებლივ

,არა რადგან აზრი არ აქვს

უარყოფითი პასუხი შემთხვევაში რატომ-----

16 არის თუ არა საქართველოში სასამართლო მიუკერძოებელი?

.დიახ

.არა

რეკომენდაციები-----

სოციალური ქსელების საშუალებით ერთი კვირის კვლევაში მონაწილემა მიიღო ასმა რესპოდენტმა.

გთავაზობთ სოციალური გამოკითხვის შედეგს დიაგრამების სახით:


სქესი:

100 პასუხი



განათლება:

100 პასუხი




- მამრობითი
- მდედრობითი

ასაკი:

100 პასუხი

1, რა არის:


100 პასუხი



- 15-25
- 26-35
- 36-45
- 46 დან ზემოთ
- 23-28

3. ვინ არის საჯარო მოხელე:


100 პასუხი



- საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი
- ნებისმიერ ორგანიზაციაში დასაქმებული პირი
- ნებისმიერი მოქალაქე

4. რა არის საზოგადოება:


100 პასუხი



- ეს არის კონკრეტულ სივრცეში არსებულ ყოველგვარ ურთიერთობათა სოციალური ჯამი;
- საზოგადოებას უწოდებენ სხვადასხვა დონის სოციალურ ერთობები;
- ინტელიგენტ ადამიანთა ჯგუფი, რომელთა სოციალური მდგომარეობა მაღალია.


5, ვინ ქმნის საზოგადოებას:

99 პასუხი



6, როგორ გეხმით სამოქალაქო საზოგადოება:


100 პასუხი



7, როგორია დასაქმების არეალი საქართველოში?




100 პასუხი




8,, მოქალაქეთა უმრავლესობა სადაა დასაქმებული:

100 პასუხი




9, საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის უმნიშვნელოვანესია:

96 პასუხი




10, როგორ შეათვასებთ მოქალაქეთა ნდობას საჯარო უწყებებისადმი

99 პასუხი



11, თქვენი, როგორც საზოგადოების წევრის აზრით, არის თუ არა დღევანდელი საჯარო უწყებები კორუმპირებული?


100 პასუხი



12, რამდენად ენდობით საჯარო უწყებების მიერ გამოცხადებულ კონკურსებს?




100 პასუხი



13 ,საჯარო სამსახურებში სტაჟირება უნდა იყოს თუ არა ანაზღაურებადი?


95 პასუხი



14, დავუძვავთ რომ თქვენს ღებულობთ ძობხანილეობას საჯარო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურში მონაწილეობას და ამ დროს თქვენ შეამჩნიეთ რომ ეს გამოცხადებული ვაკანსია მხოლოდ ფორმალაა და მათ ყავთ უკვე რეალური კანდიდატი. ამ დროს თქვენ ხვდებით რომ ირღვევა თქვენი უფლებები და თქვენს ნიჭსა და კომპეტენციას ვერ აფასებენ რეალურად, ასეთ მომენტში გაასაჩივრებთ თუ არა აღნიშნულ რეალობას შესაბამის უწყებებში? რათა თქვენი უფლებები არ დაირღვეს




98 პასუხი



15 არის თუ არა საქართველოში სასამართლო მიუკერძოებელი?

93 პასუხი



გამოკითხულთა მოსაზრებები იხილეთ დანართში.

წარმოგიდგინთ სოციალური კვლევის შედეგებსა და მის ანალიზს.

გამოკითხვაში თითქმის თანამაბარი რაოდენობით მიიღეს მონაწილეობა მდედრობითი და მამრობითი სქესისი წარმომადგენლებმა, ხოლო ასაკობრივად 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი ზღვარი აქტიურობდა. გამოკითხულთა 74% იყო უმაღლესგანათლებული. კითხვაზე რაა უმთავრესი საჯარო მოხელისთვის, გამოკითხულთა 73% ამბობს, რომ საჯარო მოხელე უნდა იყოს განათლებული, შრომისმოყვარე და სამართლიანი.

ამავდროულად საზოგადოებას ვთხოვეთ სამსახურისა და საჯარო სამსახურის ცნების განსხვავება, მაგრამ სამწუხაროდ გამოკითხულთა 50 % ვერ გამოიჭნა, რადგან საზოგადოება ამ მხრივ არ არის ინფორმირებული. ამავდროულად დავინტერესდით როგორ ესმის საზოგადოებას თვით საზოგადოების ცნების განმარტება და

გამოკითხულთა 83% ფიქრობს, რომ ეს არის კონკრეტულ სივრცეში აღიარებული სოციალური ერთობის ჯამი. ასევე ჩვენი ინტერესის იყო ის, რომ გაგვეგო საზოგადოების გადმოსახედიდან რას ფიქრობთ ვინ ქმნის საზოგადოებას და გამოკითხულთა 92,2 % დააფიქსირა, რომ საზოგადოება იქმნება ადამიანთა ერთობით.

დღესდღეობით კი ყველას გაგვიგონია, მოგვისმენია და შეფასებაც მიგვიცია დასაქმების არეალზე. საზოგადოების 47 % ფიქრობს, რომ ცუდია, 35% კი საშუალო და 18% კარგია ასევე ღია კითხვაშიც აუცილებელ შეკითხვად შევითანეთ ის, თუ რატომ ფიქრობდენ ასე. მათი აზრი კი დანართის სახით გვაქვს მოცემული (იხ-დანართი1). აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოება დასაქმებულია სხვადასხვა სექტორში - კერძოსა და საჯაროში. გამოკითხულთა 80% ფიქრობს დასაქმებულთა უმრავლესობა კერძო სექტორშია და 13 პროცენტი კი ფიქრობს, რომ საჯარო სექტორში, ასევე ღია კითხვაში მიუთითეთ რატომ ფიქრობთ ასე ? გამოკითხულთა უმრავლესობამ დააფიქსირა თავისი აზრი, გამოკითხულთა ჩანაწერები იხილეთ დანართი-1). ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების უმრავლესობა კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის ფიქრობს 55,2% რომ კომუნიკაბელურობაა მთავარი. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დაგვაინტერესა, როგორია მოქალაქეების ნდობა საჯარო უწყებების მიმართ. აქ თითქმის თანაბრად გაიყო საზოგადოების აზრი. 52% ფიქრობს, რომ უარყოფითად მიმდინარეობს ეს ყველაფერი, 48% კი დადებითად. ღია კითხვაში კი არც თუ ისე ბევრმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ საზოგადოების აზრი მკვეთრად გამოჩდა (იხილეთ დანართი-1). გვინდა აღვნიშნოთ, რომ კორუფცია მსოფლიო პრობლემაა. ამ მხრივ კი დავინტერესდით რას ფიქრობს საზოგადოება, არის თუ არა კორუმპირებული საჯარო უწყებები. გამოკითხულთა 46% ფიქრობს, რომ დიახ 21 % კი არ და 33% კი ნაწილობრივ ეს რა თქმა უნდა ძალიან ცუდი შედეგია, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს უკვე აღარ ენდობა საჯარო უწყებებს. გამოკითხულთა უმრავლესობა დააფიქსირა თავიანთი მოსაზრება და გარკვეული მაგალითებიც მოიყვანა (იხილეთ დანართი-1) როგორც ვიცით, თუ გვინდა საჯარო უწყებაში დასაქმება ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კონკურისი წესით, ანუ შეკითხვა ასეთი იყო ენდობით თუ არა საჯარო უწყების მიერ გამოცხადებულ კონკურსებს, აქ კი ჩვენი შედეგი ასეთი იყო:

საზოგადოების 41% ფიქრობს, რომ არ არის სანდო რადგან საქართველოში ისევ და ისევ შერჩა კორუფცია და პატრონაჟი ასევე საზოგადოების 40% კი ენდობა ნაწილობრივ მათ დაასახელებს სამსახურები, რომლებშიც კვლავ დარჩა კორუფცია და 19 პროცენტი კი ენდობა ამ ყველაფერს. ჩვენი აზრით, 19 პროცენტი ის საზოგადოებაა, რომელიც დასაქმებულია საჯარო უწყებებში. დღეს როგორც ვიცით, ახალგაზრდობის უმეტესობა აწყდება დასაქმებასთან დაკავშირებით პრობლემებს. ეს იმაში გამოიხატება, რომ როდესაც საჯარო უწყება აცხადებს კონკურსებს სხვადასხვა პოზიციაზე, ითხოვენ შესაბამის გამოცდილებას ეს გამოცდილება კი 90 % არ აქვს და ამიტომ იძულებული არიან გაიარონ უფასო სტაჟირება, რომელსაც აცხადებს საჯარო უწყება გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც სტაჟირება არის ფასიანი ისიც ძალიან სტრუქტურებში დაისვა შეკითხვა უნდა იყოს თუ არა სტაჟირება ანაზრაურებადი გამოკითხულთა 93.7% ფიქრობს, რომ დიახ უნდა იყოს ანაზრაურებადი, რადგან სტაჯორითვის ეს არის ერთგვარი წახალისება და მიზანი, რადგან მან უნდა დაინახოს რომ მისი შრომა ფასდება და ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სტაჟირების დასრულების შემდეგ ყველა ვერ საქმდება (გამოკითხულთა მოსაზრებები იხილეთ დანართ-1) ასევე ჩვენი ინტერესი დიდი იყო იმისა რომ როგორ მოიქცეოდნენ საჯარო უწყებაში უსამართლობის არმოცენის შემდეგ საზოგადოება ის საზოგადოება, რომლებსაც უნდათ დასაქმება საჯარო უწყებაში და დავსვით ასეთი შეკითხვა-**დავუშვათ რომ თქვენ ღებულობთ მონაწილეობას საჯარო სამსახურის მიერ გამოცხადებულ კონკურში მონაწილეობას და ამ დროს თქვენ შეამჩნიეთ რომ ეს გამოცხადებული ვაკანსია მხოლოდ ფორმალობაა და მათ ყავთ უკვე რეალური კანდიდატი. ამ დროს თქვენ ხვდებით რომ ირღვევა თქვენი უფლებები და თქვენს ნიჭსა და კომპეტენციას ვერ აფასებენ რეალურად, ასეთ მომენტში გაასაჩივრებთ თუ არა აღნიშნულ რეალობას შესაბამის უწყებებში? რათა თქვენი უფლებები არ დაირღვეს** - ეს კითხვა კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ძალიან კარგი შედეგიც მივიღეთ: საზოგადოების 65.3 % დაუყოვნებლივ დაინწყებდა თავისი სიმართლის ძიებას, 34.7% კი ფიქრობს, რომ არ აქვს აზრი, მაგრამ ძალიან სასიხარულოა, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას აქვს ის სულიკვეთება, რომ თავისი პოზიცია ბოლომდე მიიყვანოს, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერის შემდეგ გავვიჩიდა

კითხვა, რამდენად ენდობა საზოგადოება სასამართლოს. აქაც საზოგადოების თითქმის თანაბარი აზრი დაფიქსირდა 48,4 % არ ენდობა სასამართლოს 51.6 % კი ენდობა. სწორედაც სადაც სასამართლო არის მიუკერძოებელი, იქ ყველაფერი რიგზე იქნება. ამრიგად, საჯარო სამსახურებში ყველაფერი კანონის დაცვით რეგულირდებოდა, ვგონებთ, სისტემაც მეტად მონესრიგებული იქნება და საზოგადოების მეტი ნდობაც ექნებოდათ. ცხადია, კანონის დაცვაა ყველა სფეროსა და ყველგან უმთავრესი.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილეთ საზოგადოებისა და საჯარო სამსახურების ურთიერთობა, განვითარების საფეხურები, ურთიერთგავლენები. გამოიკვეთა საზოგადოების როლი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში:

პასუხგაცემულია ყველა ის ამოცანა, რომელიც თემის დასაწყისში დაისვა; ასევე აქტუალურია ყველა ის პრობლემა, რომელიც იჩენს თავს საზოგადოებასა და საჯარო უწყებებს შორის.

კვლევის ანალიზის საფუძველზე კარგად გამოიკვეთა საჯარო უწყებებსა და საზოგადოების შორის ურთიერთდამოკიდებულება.

სამაგისტრო ნაშრომის ბოლო თავი წარმოადგენს სოციალურ კვლევას. დავსახეთ საზოგადოებასში არსებული აქტუალური პრობლემები და სწორედ საზოგადოებრივი აზრის კვალდაკვალ შევეცადეთ მის გადაჭრას. აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ საკვლევემა საგანმა საზოგადოების მაღალი ინტერესი გამოიწვია, რაც იმის დასტურია, პრობლემა აქტუალურია. აქედან გამომდინარე, მათ მიერვე გამოკვეთილი საკითხები აუცილებლადაა გასათვალისწინებელი.

საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე ვერც ერთი სტრუქტურა ვერ იქნება ძლიერი.

ამრიგად, ქვეყანა და ყველა უწყება მაშინ არის ძლიერი, როცა იქნება გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრი, შეხედულება და მიმართულებები. თუ გვინდა, რომ ვიყოთ ძლიერები, უნდა ვიყოთ ყველანაირად ობიექტურები. ამავდროულად, საჯარო უწყებებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ ობიექტურობა და თითოეული მოქალაქის პრობლემა ახლოს მიიტანონ, რადგან როდესაც საზოგადოებას ექნება ნდობა საჯარო უწყებისადმი, ეს ნიშნავს, რომ

გვეყენება სახელმწიფო ისეთი, როგორც გვინდა. ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი უმნიშვნელოვანესია. ძლიერი საჯარო სამსახური ძლიერი საზოგადოებისგან შედგება და პირიქით.

დანართი

2. როგორ გამიჯნავთ სამსახურისა და საჯარო სამსახურის ცნებას ?

100 პასუხი

სამსახურად შეიძლება ცაითვალოს ნებისმიერი სამსახური მაგრამ საჯარო სამსახური არის სახელმწიფო დანესებულება

მეტი პასუხისმგებლობა,

საჯარო

მეტი პასუხისმგებლობით საჯარო სამსახურში

სამსახური შეიძლება იყოს ნებისმიერი: მაგ, თუნდაც მაღაზიაში კონსულტანტი, და ა.შ ხოლო საჯარო სამსახური როგორც განმარტებიდან ჩანს როცა პირი დასაქმებულია სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში.

საჯარო არის სახელმწიფო დანესებულებაში როცა მუშაობ,ხოლო სამსახური ხან იყოს და ხან არა.

არეცი

საჯარო სამსახურში მომუშავე პიროვნება უნდა იყოს მეტად პასუხისმგებელი თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ასევე მეტი პროფესიონალიზმითა და მონდომებით უნდა აკეთებდეს ამ საქმეს. არ ვამბობ იმას რომ ეს ყველაფერი არ უნდა ახასიათებდეს სხვა ორგანოებში მომუშავე პიროვნებებს მაგრამ საჯარო სამსახური არის სფერო სადაც უნდა მუშაობდეს ყველა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების უბადლოდ მფლობელი პიროვნება.

საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახური
სამსახური შესაძლებელია ქონდეს პირს კერძო ორგანოშიც, მაგრამ საჯარო სამსახური გულისხმობს სახელმწიფოს სახელით გადამწყვეტილების მიღებას
საჯარო და არა მარტო სხვა მოხელე სამართლიანი უნდა იყოს ყველგან.
საჯარო სამსახური არის სახელმწიფო დანესებულება სამსახური კერძო.
საჯარო სამსახური ესაა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მსახური, ხოლო სამსახური ზოგადაა და ყველა სექტორში მსახურს მოიცავს
არ ვიცი
საჯარო სახელმწიფო სამსახურია
11
Gansxvqvdeba ertmanetisagan magram zustad rogor arvici
საჯარო სამსახური ესაა ხალხისთვის, მათი კეთილდღეობისთვის მუშაობა, კერძო სექტორი თავიანთ ფინანსებზეა მორგებული
პასუხისმგებლობით

საჯარო სამსახური დაკავშირებულია უფრო ფართო არეალთან, ვინაიდან მასზე არის დამოკიდებული რა კონკრეტული ადამიანების, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობა და მათი ცხოვრების ხარისხი.
საჯარო სამსახური არის სამსახური სახელმწიფო ან მუნიციპალურ სამსახურში, ხოლო სხვა სახის სამსახური შეიძლება იყოს კერძო სექტორშიც.
საჯარო სამსახურში მომუშავე ადამიანს ეკისრება მეტი პასუხისმგებლობა საქმისადმი ვიდრე ჩვეულებრივ სხვა ორგანოში მომუშავეს
ამ საკითხში არ ვარ კომპეტენტური მაგრამ მაინც გვიპასუხებთ სამსახური არის ნებისმიერი საჯარო სამსახური კი სახელმწიფო სამსახური
სამსახური არის ნებისმიერი კერძო სტრუქტურას ვგულისხმობ საჯარო სამსახური კი სახელმწიფო დანესებულება
ეს როგორც ვიცით კანონიც მიუწავს ამას
საჯარო სამსახურის თანამშრომელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს ხელფასს.
როცა გავიგებ გეტყვი :დღღ
კერძო და სახელმწიფო სექტორი

7, როგორია დასაქმების არეალი საქართველოში?

. რატომ ფიქრობთ ასე ? გთხოვთ პასუხი დაასაბუთოთ

83 პასუხი

სედეგი
სამუშაო ადგილების ცუდი მზარდი ტენდენცია
ვარსაუბრო მოხელე მაქვს ბევრ ადამიანთან შეხება დღის განმავლობაში ვისმენ მათ შეხედულებებს და აქედან მაქვს ეს ინფორმაცია.
ნაკლებადაა ხალხთა უმრავლესობა დასაქმებული.
არ არის საკმარისი ადგილები სამსახურისთვის
დასაქმების არეალი ვერ ვიტყვი რომ არის ფართო გამომდინარე იქედან რომ არის მცირე რაოდენობის გამოცდილი კადრები... ხშირად არის ისეთი სიტუაცია რომლის დროსაც სხვადასხვა კომპანიებს დიდი თანხის ხარჯზე უნევთ სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოცდილი კადრების ჩამოყვანა.
ძალიან ნაკლებია სამუშაო ადგილები და სადაც არის იქ ძალიან მაღალია კონკურენცია
სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი დიდია, სამუშაო ადგილი ნაკლები, ანუ მოთხოვნა უფრო მეტია ვიდრე შესაბამისი ვაკანსია
არ არის ნორმალური სამუშაოები სადღეღამისო სამუშაოებია და ყველას არ შეუძლია.
არ არის სამუშაო ადგილები.

იმითომ რომ უმუშევრობის დონე საკმაოდ დაბალია
Ver saqmdebian martivad
არსებობს ხარვეზები სანსახურში.აყვანასთან დაკავშირებით
კითხვა რომელ ეკუთვნის, თუ წინა კითხვას ეხება-გადახედეთ ციფრებს, ოფიციალურ სტატისტიკას და სოციალურ ფონს
Samushao adgilebis ukmarisobaa
ქვეყანაში არ არის საკმარისი რაოდენობით შექმნილი დასაქმების არეალი.
სამსახურების რაოდენობა ცოტაა და მაძიებელი ბევრი. აქედან გამომდინარე ყველა ვერ ახერხებს დასაქმებას
მცირეა სამუშაო ადგილები და დასაქმების პრობლემაა ზოგადად
Imitom
იმითომ ვთვლი რომ არ არის დასაქმების პერსპექტივა.რატო უნდა გადადიოდეს საზოგადოების უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთ სამუშაოდ და რატო არ უნდა ეძლეოდეს სამშობლოში ფულის შოვნის და ოჯახის რჩენის გზა.
უმუშევრობის დონის, აგრეთვე უცხოეთში დასაქმების სურვილით შრომისუნარიანი მოქალაქეების გადინების

ურბანულად ცენტრზე ორიენტირებულია და იმიტომ
სახელმწიფო არ უქმნის ისეთ პირობებს ახალგაზრდებს, რომ უმაღლესი განათების შემდეგ დასაქმდნენ თავიანთი პროფესიით.
განათლების დაბალი დონე და ნეპოტიზმი
მაქვს შეხება და ვხედავ რომ ასეა.
"გავლენიანი პატრონი" თუ გყავს პრობლემა არ გაქვს საჯარო სამსახურში თანამდებობაზე
იმიტომ რომ ქართველი ხალხის უმეტესობა ემიგრაციაში იმყოფება
საქართველოში დასაქმების არეალი ცუდია რადგან ყველა მეორე არის უცხოეთში
სათანადოდ არ ხდება განათლებისა და შრომის შესაბამისი ანაზღაურება
mitoro davasrule universitetida kide dausaqmebelivar .chemi profesiit mitumetes
ვფიქრობ ვინც ცდილობს ყველა საქმდება
არ არის საკმარისი სამუშაო ადგილები. სადაც არის ითხოვენ რამოდენიმე წლიან გამოცდილებას რის გამოც

ახალგაზრდები ვერ ახერხებენ უმეტესწილად დასაქმებას.
მაღალია ქვეყანაში უმუშევრობის ინდექსი, რასაც ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, სამუშაო ადგილების სიმცირე, ნეპოტიზმის მაღალი დონე და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი
რადგან ეკონომიკა წელს მაგრამ მაინც ვითარდება და უმუშევრობის დონეც მცირედით მაგრამ მაინც მცირდება
უმუშევრობის მაღალი დონე და სახელფასო სისტემა ქმნის ცუდ ფონს საქართველოში დასაქმების კუთხით.
ისეთ თუ ასე მაინც არიან დასაქმებულები მაგრამ უკეთესიც შეილება
ვცდილობთ რომ გამოვასწოროთ ყველაფერი ამ მხრივ
ჩემი აზრით ყველა მთავარი მოხელე ფიქრობს ფულის ზედმეტად გამოძალვას და არასაკმარისი ხელფასის გადახდას პატარა მოხელესთვის
იმიტომ რომ 2 სამსახური მაქვს.
სამსახურები უამრავია თუმცა თეთრებზე ამუშავებენ ხალხს და ეს არმოძონს.
არ არის ადგილები
არ იქმნება ახალი სამუშაო

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიჭაიშვილი.მ - პოლიტიკური თეორია
2. მსოფლიო ბანკი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჯარო სამსახურში, ქრონიკა საქართველოს რეფორმები, 2012 წ.გვ.10]
3. რუსაძე-ნ საჯარო მმართველობის ეფექტიანი ამალგება (ტერიტორიული ასპექტები საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ პროგრამის კრებული.
4. საქართველოს კანონი-კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
5. სამთავრობო პროგრამა მსოფლიო ბანკი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჯარო სამსახურში, ქრონიკა საქართველოს რეფორმები, 2012 წ
6. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 90. საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>(უკანასკნელადმემონწმეებულია 19.03.2018)
7. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა Diamond L. Towards Democratic Consolidation. Journal of Democracy, v.5, N.3, 1996,
8. საჯარო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დებულება <https://eparticipationge.wordpress.com/2013/02/20/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96/>
9. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა 2016 წელი -სიძულვილის ენის გამოყენება 2014-2016 თანამდებობის პირების / საჯარო მოხელეების მიერ და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები მე 3 თავი
10. ჭავჭავაძე.ი- კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ

11. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-6> საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
12. <https://idfi.ge/ge> თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი
13. <https://napr.gov.ge/p/723>
14. <https://ka.wikipedia.org>